წელიწადი მეხუთე
შაბათი, 21 თიბათვე 1919 წ. № 127
ფასი 2 მან.

საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—120 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 40 მანეთი. ცალკე № 2 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე—1 მ. 50 კ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 50 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

გაუბედურებული დედა, ძმები და დები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ კვირას, 22 თიბათვეს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

ვლადიმერ პავლეს ძე გობეჩიას

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილ. 10 ს. და პანაშვიდი 12 საათზე.

(3—2454—2)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები გიორგი იოსების ძე და მარიამ ანდრიას ასული, ძმები ვასილ საშა და ჟორჟიკა და ნინა ბერიძეები, რეზო და ნადია შალიკაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი საყვარელი შვილის და ძმის მე-2 საარტილერიო ბრიგადის ჯარისკაც-სტუდენტ

იოსებ (ჟოზეფ) გიორგის ძე ბერიძის

ჰრილობისაგან გარდაცვალების ნახევარ წლის შესრულებას წირვა და პანაშვიდი იქნება გადახდილი კვირას 12 საათზე პეტრე-პავლეს ეკლესიაში.

(1—2458—1)

გულდამწვარნი: ბარბარე ნიკოლოზის ასული, დარია მიხეილის ასული შენგელიები შვილებით, მარიამ ნიკოლოზის ასული მირიანიშვილი მეუღლითურთ, ანა მიხეილის ასული თუხარელისა მეუღლით და შვილებით, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, თიბათვის 22-ს პეტრე პავლეს ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ორმოცი დღისა

ნიკოლოზ მიხეილის ძის შენგელიასი.

ხოლო ექვსი თვისა
ბრძოლაში დაღუპულ გვარდიის დივიზიონის კორნეტის

მიხეილ ნიკოლოზის ძის შენგელიასი

წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი იქვე სასაფლაოზე დღის 12 საათზე.

1—2462—1

კვირა, 22 ივნისი **ქართული კლუბი** კვირა 22 ივნისი

მესხეთ-ჯავახეთის დღე!

დღისით: დიდი საბავშო დღესასწაული. 5—7 საათამდის ბავშვების სეირნობა და თამაში ცნობილ „ბავშვების მეგობარის“ ი. მ. ხუნდუკიანცის ხელმძღვანელობით 7—9 საათამდის ცეკვა და ორკესტრი. ახალი სათამაშონი! ძვირფასი საჩუქრები!

საღამოს: დიდი სეირნობა! ახალი გასართობები „გამოუცნობი ჯამბაზები“! ქართული დუქანი—ქეიფი დილამდის. **კონცერტი:** სიმღერა—ქ-ნნი კოლ-ლევიცკაია, გარტმან ბ-ნნი: სარაჯიშვილი, ინაშვილი და პოლიაევი. ბალეტი: ბაუერზაკს, ვაკარეც. პოეზია: პაოლო იაშვილი, ლელი ჯაფარიძე, გალ. ტაბიძე და თაგუნა.

დიასახლისი ქ-ნი მარ. რამიშვილისა.

2—უ—2

ქართული კლუბი

კვირას, თიბათვის 22-ს, დილის 11 საათზე დანიშნულია კლუბის დარბაზში წევრთა

არა ჩვეულებრივი კრება

განსახილველია: კლუბის წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა. მიმდინარე საქმეები და მუდმივ მოსიარულეთა არჩევნები. თუ ეინიცობაა ამ დღეს კრება არ შესდგა, მეორე კრება დანიშნულია თიბათვის 29 ს, რომელიც წესდების მე-29 მუხლის ძალით ჩაითვლება კანონიერად, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

2—117—1

მცხოვრებთა და წვრილ ვაჭართა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ მიღებულია ახალი

მზისუმზირას ზეთი

რომელიც გაიყიდება ფუთობით გირვანქა 10 მანეთად. საწყობი მოთავსებულია მალაკნის ქუჩა № 52 ნახვა შეიძლება დილით 8 ნახ.-დან 1 ნახ.-მდე და სალ. 3 ნახ.—7 საათამდე.

3—2452—3

ევროპიულ-კავკასიური სავაჭრო ბანკი ყოფილი გერმანულ-კავკასიური ბანკი

განაგრძობს თავის ოპერაციებს ბანკის წესდების მიხედვით

ნაღდ ფულზე

[illegible]

მოითხოვეთ
საუკეთესო ხარისხის
კონიაკი
ძმ. კაიშაურებისა

[illegible]

მისამართი: ელისაბედის ქ., 117, ტელ. 9—77.

12—244—4

გ. ლეონიძე — წიგნი I.

1. „კვირეები“. 2. „ცივი ნავრუში“.
3. „ყაზახები“. 4. „საქართველო“.

წიგნი მკათათვის ნახევრებში გამოვ.

ქართული კლუბი

შაბათს, 19 თიბათვეს გაიმართება

სასულიერო კონცერტი

ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა მომღერალთა მონაწილეობით. დ. ი. არაყიშვილის ლოტბარობით შესრულებული იქნება ა ხ ა ლ ი ლ ი ტ უ რ გ ი ა.

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე. — შესასვლელი ფასი 1—5 მან. დაწვრილებით პროგრამებში.

1—116—1

თბილისის 1 კომერციულ სასწავლებლის (თბილისის ვაჭართა საზოგადოების მიერ დაარსებულის) კურს დასრულებულთა ჯგუფი იწვევს ამ სასწავლებელში კურს დასრულებულ ყველა ახალგაზრდების

საერთო კრებას

„თბილისის 1 კომერციულ სასწავლებლის კურს დასრულებულთა საზოგადოების“ დასაარსებლად. კვირას, თიბათვის 22-ს დილის 11 საათზე სასწავლებლის შენობაში (19 თებერვლის ქ. № 2).

1—2459—1

სამხედრო მოსამსახურეთა დამ მარე კომიტეტის

საზოგადო წლიური კრება

დანიშნულია კვირას, თიბათვის 22-ს 1919 წ. დილის 9 საათზე, ძიძიშვილის გიმნაზიაში, ლორის მელიქოვის და პუშკინის ქ. კუთხე (ძველი სემინარიის შენობა. თუ კრებაზე არ გამოცხადდება წევრთა კანონიერი რიცხვი მაშინ მეორე კრება ინიშნება იქვე და იმავე რიცხვში დილის 10 საათზე ეს კრება კანონიერად ჩაითვლება. მიუხედავად რიცხვის რაოდენობისა.

დღის წესრიგი:

1. გამგეობის მოხსენება საზოგადოების მოქმედების შესახებ 1919 ოპერაციულ წლის განმავლობაში.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. გამგეობის ორი წევრის და სარევიზიო კომისიის ორი წევრის დამატებითი არჩევნები.
4. 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.
5. საწევრო გადასახადის გადიდება.
6. მიმდინარე საკითხები.

კრებაზე შესვლის დროს საწევრო წიგნაკს მოსთხოვენ.

გამგეობა

ამიერ-კავკასიის ბანკის აქციონერთა

მე-2 ჩვეულებრივი საზოგადო კრება

დანიშნულია 22 ივნისს 1919 წ. დილ. ს 10 ს. ბანკის ბინაზე

(თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6)

შემდეგი საქმეების გადასაწყვეტად რომლებიც ვერ გაირჩნენ 8 ივნისის კრებაზე აქციების საკმაო რიცხვის წარმოუდგენლობის გამო:

1. ძირითადი თანხის გადიდება.
2. ბანკის წესდების § 13-ს შეცვლა და დამატება.

გარდა ამისა იმავე კრებაზე უნდა ამორჩეულ იქნას გამგეობის წევრი ნაცვლად დ. ვ. ქუთათელაძის, რომელმაც სამსახურს თავი დაანება.

რადგან ეს კრება მეორეა, ამიტომ იგი კანონიერად ჩაითვლება იმის დამოუკიდებლად, რამდენი აქცია იქნება წარმოდგენილი.

შენიშვნა. სახელდებული აქციების პატრონთ ხმის უფლება აქვთ საზოგადო კრებაზედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამგეობის დავთარში არიან ჩაწერილნი შვიდი დღით საზოგადო კრების დღემდე. უსახელო აქციები იმ შემთხვევაში აძლევენ ხმის უფლებას აქციების პატრონთ, თუ აქციები წარმოდგენილია ბანკის გამგეობაში შვიდი დღით ადრე მაინც საზოგადო კრების დღემდე და უკ ნ ალარ წაუღიათ პატრონებს კრების გათავებამდე. ნამდვილი აქციების მაგიერ შესაძლოა წარმოდგენილ იქმნეს მოწმობანი (ხელწერილნი) იმისა, რომ აქციები მიცემულია შესანახად ანუ გირაოდ, როგორც სახელმწიფო, ისე მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდებით არსებულ საკრედიტო დაწესებულებას. ამ მოწმობებში უნდა იქმნას ნაჩვენები აქციების ნომრები.

2—102—2

ქართული კლუბი

კვირას, თიბათვის 22-ს, შუადღის 12 საათ.
საზოგადოება „საბავშო თეატრი“-ს მიერ
გაიმართება პირველი საცდელი

საბავშო წარმოდგენა-კონცერტი

ფასები 10 მან.—8 მან.

2—უ—1

განცხადება

კახეთის რკინის გზის გურჯაანისა და მუკუზნის სადგურებზედ დაარსდა სატრანსპორტო საკომისიო კანტორები, სადაც მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ საქონლის მიღება და გაგზავნა დაუყოვნებლივ დანიშნულებისამებრ. კანტორა მასთანავე კისრულობს მსურველთათვის სხვა და სხვა ნაწარმოების ყიდვას და გასაღებას. მისამართი: გურჯაანი—ცივალაშვილს, მუკუზანში—ჯანდიერიშვილს.

2—2455—2

იყიდება:

საუკეთესო ინგლისური პირ საბანი (როკოკო), ელექტრონის წმინდა ბრინჯაოს ჭალი, 220 ვოლტიან ლამპრებით, კედლის საათი, დასადგმელი ჩამოსაკიდებელი (ტონენტ), კომოდი მისამართი ავლაბარი, ლაზარევის ქ. № 4. კახეთის მოედნის ახლოს, შესავალი ეზოდან.

(1—2460—1)

ჩვენი დელეგაციის მოქმედებიდან

დიდის პატივით და კიდევ მეტის პასუხისგებით შევმოსეთ ჩვენი დელეგაცია, რომელიც პარიზს გავგზავნეთ, სამშვიდობო კონფერენციაზედ. პატივით, ვინაიდან საქართველომ თავისი წარმომადგენლობა მას ჩააბარა: პასუხისგებით,—ვინაიდან ეროვნულ უფლებათა უზენაესობის დამოუკიდებლობა მასვე მიანდო დასაცავად ევროპისა და ამერიკის საუკეთესო წარმომადგენელთა წინაშე. თუ საქართველო ამ დავალებით უფრო პატივის გრძნობას აღნიშნავს დელეგაციისადმი, თვით დელეგაციამ ამ დავალებაში პატივის გრძნობაზე უფრო საკუთარი პასუხის მგებლობის გრძნობა უნდა ამოიკითხოს.

თვით დავალება კი მკაცრად არის შემოხაზული, მკაცრადაა განსაზღვრული დელეგაციის მიზანი, მისი მოქმედება. უფრო მეტის სიმკაცრითაა ახაზული ის სუბიექტი, ვის წინაშეც საქართველოს დელეგაციამ უნდა გადადგას ოფიციალური ნაბიჯები და აწარმოვოს ოფიციალური მოლაპარაკება, საქართველოს სახელით. ყველაფერი ცხადლივაა არის ჩამოქანდაკებული; დელეგაციამაც შეგნებით მიიღო და დაიკისრა ასეთი ჩვენი დავალებები და ინსტრუქციები. როგორც ყოველი სხვა ქვეყნის ყოველი დელეგაცია, ჩვენი დელეგაციაც ამ მხრივ ოფიციალურად ჩასმულია ერთს განსაზღვრულ კალაპოტში. რომლიდანაც ამოსვლის და გადახვევის უფლება მას არ აქვს.

ჩვენმა დელეგაციამ-კი ამ პრინციპს უღალატა. მან დაარღვია მიცემული ინსტრუქცია ერთს მთავარ მუხლში. და იმის მაგივრად, რომ ქვეყანამ და მთავრობამ დავალების გადალახვისათვის, დელეგაცია ან უკან დაიბაროს, ან წესრიგად მოიწვიოს, მას იცავს და ზურგს უმაგრებს და ამას ჩადის ყოველგვარი წესიერების, ნორმის, და სინდისის მოთხოვნილების წინააღმდეგ. ამდენ ყურადღებას იმიტომ იჩენს, რომ ეს შენიშვნა ნაციონალ-დემოკრატების მხრიდან მოდის. სხვა საბუთით ამის დასაბუთება ყოვლად შეუძლებელია.

და რა სიკეთე შეიძლება იქ, სადაც წესის და დავალების აშკარა დარღვევა და გადალახვა პარტიულ მფარველობის ქვეშ პოულობს გამართლებას; სადაც შეუძლებელი ხდება საერთო სიტყვის გამოძებნა და ობიექტიური ჭეშმარიტების ყველასათვის აღიარება.

რაში მდგომარეობს დავალებული ინსტრუქციის გადალახვა? იმაში, რომ ჩვენმა დელეგაციამ რომელიც საქვეყნოდ და ოფიციალურად გაგზავნილი იყო პარიზის კონფერენციაზედ, კლემანსო-ლოიდ-ჯორჯ-ვილსონთან საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად—და მხოლოდ ამათთან—მიაშურა აგრეთვე საერთაშორისო მუშათა ინტერნაციონალს.

ბ-ნ ირ. წერეთელს, როგორც საქართველოს ოფიციალურ დელეგაციის წევრს, ვაცხადებთ კატეგორიულად, ამის უფლება არ ჰქონდა. ეს მას თვის მანდატში არ უწერია.

ვინ არ იცის რომ დღეს საერთაშორისო მუშათა ინტერნაციონალი, თავის მისწრაფებით, წინააღმდეგია და დამამხობელი იმ მეთოდის და წესწყობილების, რომელსაც იცავს პარიზის კონფერენცია და რომელსაც მოციქულობენ კლემანსო, ვილსონი და ლოიდ-ჯორჯი?!

ვინ არ იცის რომ დღეს მუშათა ინტერნაციონალი ამ სამთა პიროვნებას, ამ სამთა პოლიტიკას ებრძვის სამკვდრო-სასიცოცხლოდ?!

ევროპა-ამერიკის უმრავლესობა და ამ უმრავლესობის პოლიტიკა დღეს ამ სამ პიროვნებით გამოითქმება პარიზის კონფერენციაზედ. დღეს წესიერების რეალური ძალა და მბრძანებლობის კვერთხი ამ სამ პიროვნებაი უპყრავს ხელში და მათზეა დამოკიდებული საქართველოს ბედის საბოლოო გადაჭრაც. ეს არის დღევანდელი ევროპა-ამერიკის სოციალ-პოლიტიკური სინამდვილე. დღეს სხვა ძალა არ არსებობს, რომელიც პირველის სათანაბრო სინამდვილეს წარმოადგენდეს. საქართველომაც თავისი დელეგაცია სწორედ ამ რეალურ ძალის წარმომადგენლებთან გაგზავნა, ვინაიდან მხოლოდ ამ რეალურ ძალაში ხედავს იგი წესიერების დასაბამს და მდგომარეობის ბატონს. ახალი მსოფლიო ძალის წარმოსაშობათ, ახალი მსოფლიო ეკილიბრის შესაქმნელად პატარა საქართველოს არც შეძლება აქვს და ამიტომ არც რისკის გაწევა შეუძლიან. ჩვენს დელეგაციას ეს უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული და შეგნებული. ყოველშემთხვევაში მას ეს ჰქონდა დავალებული. და როდესაც დელეგაცია ამ დავალებას არღვევს, იგი ამითვე ჩვენი ქვეყნის იმედებს და მის მიზანშეწონილ პოლიტიკას ამხობს და რყვნის. ოფიციალური საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელი, მხოლოდ პარიზის კონფერენციაზე გაგზავნილი, თანამშრომლობს და საქმეს აწყობს პარიზთანაც და ამსტერდამთანაც! ეს არის პოლიტიკური სიბავშვე, რომელსაც სულ ადვილად შეიძლება მოჰყვეს ჩვენი პარიზში დამარცხება..

რომ ბ-ნ წერეთელს ამსტერდამის მეტი სიყვარული ჰქონდეს, აქ საქართველო რა შუაშია. ყოფილიყო მაშინ თავისუფლად და როგორც საქ. სოც.-დემოკრატიის პარტიის წევრი, ისე წასულიყო და იმუშავნა ამსტერდამში.

უკანასკნელი ცნობები

ვიურტემბურგის სეიმმა ერთხმად დაადგინა მოეთხოვოს გერმანიის მთავრობას, რომ არავითარ შემთხვევაში არ მოაწეროს ხელი საზავო ხელშეკრულების მე-353 მუხლს, რომელიც რეინ-დუნაის არხს ეხება.

ბერლინის სტამბის მუშათა გაფიცვა, რომელიც 5 დღეს გრძელდებოდა, სამშაბათს დასრულდა.

ჩიჩერინმა ბელაკუნს დეპეშა გაუგზავნა, რომელშიაც ატყობინებს, რომ ანტანტის დიდი გეგმა რუსეთში მარცხით დასრულდა.

ბოლშევიკებმა სტარო-კონსტანტინოვა დასტოვეს.

დვინისა და მურმანის მიმართულებით ბოლშევიკები უკან იხევენ, ხოლო ფინეთის ყურესაკენ და პეტროზავოდსკ-ნევისკენ წინ მიიწევენ.

უკრაინის წითელმა ჯარმა კოვლის მიმართულებით ბოროვოე აიღო, ხოლო ვოლ-ჩინის მიმართულებით ხელთ იგდეს მოპირდაპირის ჯავშნოსანი ორი ზარბაზნით და ტყვიის მფრქვეველები.

ამის წინააღმდეგ სათქმელი არაფერი გვექნებოდა. მაშინ წერეთლის პასუხის-მგებლობაც სხვა იქნებოდა. დღეს კი იგი საქართველოს ოფიციალური დელეგაციის წევრია, რომელსაც დავალებული აქვს ჩვენი დამოუკიდებლობის დაცვა მარტო კლემანსო ლოიდ-ჯორჯ-ვილსონის პოლიტიკის ფარგლებში და მასთან შეფარდებით, არც მეტი, არც ნაკლები. და მისი თვითნებური ნაბიჯი მუშათა ინტერნაციონალთან, რომელიც დღეს აქტიურად ირაზმება პარიზის კონფერენციის პოლიტიკის წინააღმდეგ, ნაბიჯის გადადგმაა პარიზის კონფერენციის პოლიტიკის სამტროდ. ეს კი ჩვენთვის ხელსაყრელი არაა. ეს არაა დღეს საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკა.

ეს წერეთლისთვის არ დაგვივალებია!

მხოლოდ ბავშვებს გაუკვირდება, თუ ამის შემდეგ პარიზის პრესამ ამხილა ჩვენი დელეგაცია და ერთი ბუკის დაკვრით მიწასთან გაგვასწორა და გაგვანადგურა! ჩვენ მივაქცევთ ჩვენი ქვეყნის ყურადღებას ამ გარემოებას: ბ-ნ წერეთელმა გადალახა ჩვენი მანდატი და ინსტრუქცია!

ბ-ნი გეგეჭკორი რეალურ პოლიტიკას აწარმოებს, როდესაც დამფუძნებელ კრების ტრიბუნიდან წერეთელს ამართლებს!

მახლობ!

ახალი გზით

ასე მწვავედ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის საკითხი ჯერ არ ყოფილა დასმული დღიდან რესპუბლიკის ამიერკავკასიის სახელმწიფოთაგან განცალკევებისა.

ევროპიდან ერთი მეორეზე შემაძრწუნებელი ცნობები მოგვდის! ანტანტის სახელმწიფოების ხელმძღვანელნი აშკარად უკმაყოფილონი არიან საქართველოს ვითარებით და, ამბობენ, ეს დაუჯერებელი მოვლენა იმით არის გამოწვეული, რომ ევროპის საზოგადოებრივი აზრი საქართველოს შესახებ განზრახ გადამახინჯებულ ყალბ ინფორმაციით იკვებება.

საქართველოს რომ არც ინფორმაცია და არც, მით უმეტეს, დიპლომატია არ უვარგა—ამაზე ლაპარაკიც მეტია. პარიზის სამშვიდობო კონგრესის მეთაურებს მეტის მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე, ჩვენს ურთიერთობაზე მეზობელ, თუ შორეულ სახელმწიფოებთან! კიდევ მეტი: ევროპას სრულებით არ სცოდნია საქართველოს განწყობილება რუსეთში მომქმედ ძალებისადმი და ამის გამო ხან ბოლშევიკებისადმი კეთილმეგობრობას გვისაყვედურებენ და ხანკი უფრო უარეს დანაშაულობაში გვდებენ ბრალს.

საქართველოს საზღვარგარეთული დელეგაციის უპირველესი დანიშნულება ყველას ეგონა იმაში უნდა ყოფილიყო, რომ ანტანტის სახელმწიფოებისა და პარიზის კონგრესსის ხელმძღვანელებისათვის წარედგინათ ნამდვილი სურათი საქართველოს დღევანდელ მდგომარეობისა და დამოუკიდებელ ცხოვრების **raison d'etre**-ი ნათელეყოთ მათთვის. მაგრამ დამტკიცებულ ფაქტებითა და მთავრობის ოფიციალურ განცხადებით გამოირკვა, რომ საქართველოს დელეგაციის „მთელი ენერგია“ სულ სხვა სფეროში იხარჯება! ჩვენ გვამცნეს, რომ დელეგატები „დემოკრატიის საქმეს სჭედენ ევროპის მუშათა კლასთან ერთად“ და ევროპის სოციალისტურ ნაწილის თანაგრძნობა კიდევაც დაუმსახურებიათ; ხოლო არაფრისგან არაფერი ისმის იმის თაობაზე, თუ ევროპის მმართველ წრეებსა და მცირე სახელმწიფოთა ბედიღბლის გადამწყვეტებთან რა გაკეთებულა იმავე საგანზე და სწორედ იმ დროს, როდესაც ევროპაში ხალხთა ბედი იჭედება რეალურად და, საფიქრებელია, ხანგრძლივად!

მაშასადამე, საქართველოს დამოუკიდებლობის სასარგებლოდ ევროპის მეთაურებთან თითქმის არაფერი მოგვარებულა და არც გასაოცებელია, რომ ცილისწამებასა და ინსინუაციებს ქართველ ერის წინააღმდეგ გასავალი ჰქონია ლონდონ პარიზში!

დრო კიდევ არის წამხდარ საქმის გამოსაკეთებლად, მხოლოდ მიუცილებელია ახალი გზით სვლა და სხვა საშუალებათა გამონახვა დასახულ მიზნის მისაღწევად. ჩვენ იმედი გვინდა ვიქონიოთ, რომ ამისთვისაც დაიხარჯება დიპლომატიურ დელეგაციის ენერგია და ცალმხრივ ინფორმაციასა და ცილისწამებას ფაქტები და დოკუმენტები დაუპირდაპირდება.

პატარა ერს, რომელსაც უკიდურესად გართულებულ პირობებში უხდება დამოუკიდებელი არსებობა, რაც მეტი მეგობრები და თანამგრძნობნი ეყოლება, მით უფრო გაუადვილდება დაბრკოლებების დაძლევა. ეს ცხადია და საჭირო რომ არ ყოფილიყო მომხრეთა გამოძებნა არც სოციალურ დელეგაციას მოვაწყობდით.

მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობა კი არ არის საკმაო გარანტია დამოუკიდობლობის შენარჩუნებისათვის. ქართველი ერი ამას თავიდანვე ჰგრძნობდა.

იზოლიაციის პოლიტიკის პროპაგანდა დღევანდელ ურთიერთობაში დიდი შეცდომაა და ეს იზოლიაცია ნამდვილი ფაქტად მოგვევლინება, თუ „მხოლოდ სოციალისტური დემოკრატია მსოფლიოსი და არავინ სხვა“ დაგვეხმარება ჩვენს ეროვნულ-სახელმწიფობრივ საკითხის გადაწყვეტაში. საქართველოს დემოკრატიას „ერთობა“: ეუბნება „მხოლოდ შენი თავის იმედი უნდა მქონდეს, მხოლოდ შენი გამბედაობის და რევოლუციური ენერგიის წყალობით შეგიძლია დაიცვა ბრძოლით მოპოებული...“

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც იგივე „ერთობა“ მეთაურს მეთაურზე სწერდა იმის დასამტკიცებლად, რომ მცირე ერს ვერ შეუძლიან ცხოვრება დიდს სახელმწიფოს დაუხმარებლად და საქართველოს დემოკრატიის სწორედ ამ გზით სვლას ურჩევდა.

იზოლიაციის პოლიტიკის განხორციელება საქართველოს აუნაზღაურებელ ზიანს მიაყენებს და შეიძლება, სრულებითაც ამოიშალოს „საქართველოს საკითხი“ კონგრესსის წესრიგიდან, უკეთუ ვერ შევძელით თუნდ იმავ „იმპერიალისტურ ევროპასთან“ საკომპრომისო გზის გამონახვა.

დამოუკიდებლობის დაცვისა და განმტკიცების საქმები საქართველო ყველას შეუთანახმდება და უპირველესად იმათ, ვის ხელთ, არის ჩვენი და საზოგადოთ ყველას მცირე ერობის ბედიღბალი.

სამაჰმადიანო საქართველო

საქართველოს თავისუფლება მეტად ძნელ პირობებში იჭედება. ათასგვარი დაბრკოლება მას წინ გადაეღობა. თავდაცვითი ომი ერთი-მეორეს თან მოჰყვა. ჯერ კიდევ ვინ იცის, რამდენი მსხვერპლი დასჭირდეს ქართველ ერს თავის ვინაობის დასაცველად. სამწუხაროდ ჩვენდა, უდიდესი დაბრკოლებანი ჯერ-ჯერობით წინ გველობება თვით საქართველოს ტერიტორიაზე, სამაჰმადიანო საქართველოში. ჯერ იყო და რაღაცა ბნელი მოქმედების წყალობით და ვინ იცის, ვისი წაქეზებით შედგა უდღეური სამხრეთ-დასავლეთის რესპუბლიკა, რომლის შემქნელებმა გააბეს ქსელი ახალციხის მხარეს და ათასგვარ მოტყუებით გააბრიყვეს ხალხი. ეხლა ბათომში იბმება მეორე ქსელი, უფრო მოხერხებული და უფრო საშიში. ჩვენ დღემდისაც გვწამს, რომ ჩვენში მოსული ევროპიელები და მათში ინგლისელები არ უარჰყოფენ ქართველი ერის სამართლიან მისწრაფებათ და არ მოინდომებენ ჩვენ თავისუფლებას ლახვარი ჩასცენ. მაგრამ რაც უნდა იყოს, ყველ უწინარესს ჩვენ მაინც ჩვენი თავის იმედი უნდა გვქონდეს. მართალია, ხანგრძლივმა მონობამ მაჰმადიანი ქართველები დაჩაგრა და თავისუფლებას, თავისუფალი ცხოვრების სურვილი დაუხშო. მართალია, უპატრონოთ დარჩენილი ხალხი ჩამორჩენილია, ნაკლებაა აქ სწავლა-განათლება გავრცელებული, ნაკლებია შეგნება. ამიტომაც სამაჰმადიანო საქართველო ღარიბია ისეთ თავდადებულ შვილებით, რომელთაც შეუძლიათ თავიანთი პირადი ცხოვრება საზოგადო ინტერესს ანაცვალონ, თავიანთი პიროვნული კეთილდღეობა სამშობლოს შესწირონ მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. საკაცობრიო ომმა შეანძრია მთელი დედამიწის ზურგი. მიყრუებულ, მივიწყებულ კუთხეებშიაც კი შეანთო თავისუფლების შუქმა. ისეთი ერები გამოცოცხლდნენ, რომელნიც დიდი ხანია ყველას მკვდრად მიაჩნდათ. ჩვენ კი მადლობა ღმერთს, ასე არ დავცემულვართ.

სამაჰმადიანო საქართველოშიაც კი კულტურულ-ეროვნული ცხოვრება მთლად არ დახშულა. სამშობლო ენა უმეტეს შემთხვევაში ჩინებულად შენახულია, წერა-კითხვაც დღითი-დღე ვრცელდება. დღითი-დღე ურთიერთობა ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა შორის უფრო მეგობრული და ძმური ხდება მაგრამ სამწუხაროდ, მოღალატენი კიდევ საკმარისად მოგვეპოება.

მე მსურს მთელი ქართველი ერის სახელით მაჰმადიან ქართველთ მივმართო—ღრმათ ჩაფიქრდით. ამ ისტორიულ წუთში ამაღლდნენ და თავის წრეში მიახედ-მოიხედონ. მე ვამტკიცებ, რომ ერთი მოსული მტერი ჩვენთვის საშიში არ იქნება, თუ შინაგან მოღალატეთ დროზე გაუმკლავდებით და ავლაგმავთ მე ვამტკიცებ, რომ თუ არ ზოგიერთ მაჰმადიან ქართველთ დახმარება, ბათომში ვერ გაბედავდა ჩვენი დაუძინებელი მტერი მასლოვი თავს წამოგვეჯდომოდა და თავის ბნელ ძალთა მობილიზაცია მოეხდინა. ვერც დღეს ცბიერი მელა რომანოვსკი და მისი ამყოლ-დამყოლი გაბედავდნენ ჩვენ სამშობლოში თარეშს, რომ მათ ძველი ჩაფრები და ჯაშუშები გვერდში არ ამოსდგომოდა ციხე შიგნიდან გატყდება დიდი ღირსეული თვისებაა მოთმინება, მაგრამ მასაც დროზე საზღვარი უნდა ედოს. როცა ჩვენს სამშობლოს მთელის განადგურება როცა ჩვენს სახლკარს მთელის აკლება და ჩვენ ცოლშვილს აწიოკება, როცა ჩვენ ვდგევართ ისეთი საშიშროების წინაშე, რომ შეიძლება სამუდამოდ აღვიგავოთ დედამიწის ზურგიდან, მაშინ მოღალატე ძმაც დასანდობი არ არის. ჩვენ ვერ ვანაცვალებთ მთელი ქვეყნის ბედს ორი-სამი კაცის ბნელ პირად ზრახვებს. დადგა დრო, როცა აშკარად, ყოველივე მიკიბ-მოკიბვის გარეშე უნდა ითქვას ვინაა სამშობლოს თავისუფლებისათვის, ვინაა მისი გამყიდველი და მოღალატე. საქართველომ, რაც კი შეიძლებოდა, არაფერი დაზოგა სამაჰმადიანო საქართველოსათვის, უზრუნველყოფილია მის მიერ ფართო ავტონომია. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ სამაჰმადიანო საქართველოს დიდი უმრავლესობა, სამი, შეიძლება ითქვას, მთელი ხალხი მოწადინებულია შევიდეს საქართველოს ფარგალში ფართო ავტონომიური მართველობით. მაშ რაშია საქმე? რატომ ასეთ მძიმე დროს რამდენიმე ბნელ პიროვნებას, სამშობლოს მოღალატეს უნდა ჰქონდეს თავისუფალ პარპაშის ნება? ვისი სახელით უწვდიან თავის სისხლიან ხელს ეს ვაჟბატონები ჩვენ მტრებს? აი სწორედ, აქეთკენ მინდა მივაქციო სამაჰმადიანო საქართველოს ყურადღება. დროა მეტი გამბედაობა და გარკვეულობა გამოვიჩინოთ დროა აშკარად, ცხადად გამოჩნდნენ ის ჩვენი მოღალატენი, რომელიც დღემდის მიმალულად დაფარულად ეწევიან მოღალატეობას. მაშინ მოსული მტრებიც ისე თავს ვერ აიშვებენ, ევროპიელი სტუმრებიც მეტი პატივისცემით და ყურადღებით მოგვეპყრობიან. შიგნით უნდა გამაგრდეს ციხე, უნდა აილაგმონ მოღალატენი. აი რაა დღეს სამაჰმადიანო საქართველოსთვის აუცილებლად საჭირო.

პეტრე სურგულაძე.

დამფუძნებელი კრება

17 თიბათვის სხდომა.

(დასასრული)

სოც.-ფედერალისტების შეკითხვა.

სოც. ფედერალისტთა ფრაქცია ეკითხება მთავრობას – იცის თუ არა მან, რომ ვიღაც ნათიშვილი ადგენს ბათუმში „ამიერ კავკასიის მკვიდრთა კორპუსს“ და თუ იცის, რა ზომებს ღებულობს, რომ არ გადაიქცეს ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველ ბაზად დენიკინისათვის და ჩვენი საზღვრები დაცულ იქმნას. შეკითხვას ასაბუთებს **ს. მდივანი**, რომელიც აღნიშნავს, რომ ბათუმი ეს საქართველოს ორგანიული ნაწილია, საქართველოს უბათუმოდ ცხოვრება არ შეუძლია და მთავრობამ ყოველი ღონე უნდა იღონოს, რომ ძალით წართმეული ბათუმი, ისევ დაუბრუნდეს თავის ნამდვილ პატრონს და თუ მემკვიდრეობაზე მიდგება საქმე, მაშინ მიუცილებლად უდავო მემკვიდრედ ბათუმისა საქართველო უნდა იქნას აღიარებული.

გ. გვაზავა. (ე.-დ.) ბატონებო! ბათუმის ბედი გარდაიქცა საერთაშორისო საკითხად. ყველასათვის აშკარაა, რომ ბათუმი და ბათუმის მხარე გეოგრაფიულად, ეთნოგრაფიულად, ეკონომიურად განუყრელი ნაწილია საქართველოსი. საკმარისია ერთხელ ჩაიხედოს კაცმა რუკაში, რომ დარწმუნდეს იმაში, რომ ბათუმი გადაჯაჭვულია საქართველოსთან. რა არის თვით რკინის გზა, თუ არა აშკარა გამოხატულება ამ ეკონომიურ განუყრელობისა? მიუხედავად ამისა, ბათუმი დღემდე მოწყვეტილია საქართველოს. მართალია, არის საერთაშორისო პირობები, რომლებიც ართულებენ მდგომარეობას და ხელს უშლის ჩვენს მთავრობას, მაგრამ მეორე მხრივ, თვით მთავრობასაც მიუძღვის ბრალი იმაში, თუ ბათუმის საკითხი აქამდე არ არის გამორკვეული და გადაწყვეტილი. მთავრობამ ვერ მოახერხა აქამდე რიგიანად დაეყენებინა საკითხი სადაც ჯერ არს. წარმოიდგინეთ, ის ხაზი, რომელიც ჰყოფს ახლანდელ საქართველოს ბათუმის მხარედან, გაყვანილია ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით.

ეს ხაზი სრულებით უკანონოა და სრულებით უსამართლო, იგი საზღვარი კი არ არის საქართველოსი, იგი უხეშად და უღვთოდ ჰკვეთს შუა საქართველოს ცოცხალ ორგანიზმს და ამიტომ საქართველოს ტკივილი ამ ჭრილობით აუტანელია. ამიტომ იყო, საქართველომ რომ ომი გამოუცხადა ოსმალეთს. გასაკვირველი ის არის, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება უარყოფილია მოკავშირეთა მიერ; თუ უარყოფილია, უნდა იყოს უარყოფილი ერთნაირად, ყველა მისი შედეგებით, მაშასადამე უარყოფილი უნდა იყოს თვით ბათუმის ჩამოგლეჯა საქართველოს ეროვნულ ორგანიზმისაგან. რა ჰქნა ამის შესახებ მთავრობამ? გაიტანა ეს წინააღმდეგობა ევროპაში და მოითხოვა ჩვენი უფლებების აღდგენა?! არაფერი გაუკეთებია, არაფერი ისმის. მართალია, ჩვენ გავგზავნეთ ჩვენი დელეგაცია პარიჟში, მაგრამ სამწუხაროდ უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი დელეგატები, მის მაგიერ რომ წარმოადგინონ საქართველო, როგორც სახელმწიფო და დაიცვან მისი ინტერესები, უფრო პარტიულ მუშაობას განაგრძობენ, ვიდრე სახელმწიფოებრივ პოლიტიკურს: არ შორდებიან სოციალისტურ წრეებს, მიდიან ხან ბერნში, ხან ამსტერდამში, მონაწილეობას ჰღებულობენ იქაურ სოციალისტურ და სარევოლუციო მოძრაობაში და ამით, ეჭვი არ არის, ასამარებენ საქართველოს დამოუკიდებლობას. საქართველოს ცნობა დამოკიდებულია პარიჟის კონფერენციაზე და არა სხვა და სხვა უპასუხისმგებლო პარტიულ ყრილობებზე. ეს გზა ჩვენ სიკეთეს ვერ მოგვიტანს. ამიტომ მთავრობამ უნდა მიიღოს ზომა, დელეგაცია ჩააყენოს მისი მოვალეობის ასრულების ფარგალში და საზოგადოდ გამოსცვალოს თავისი საერთაშორისო პოლიტიკა. მსოფლიო რევოლუცია—ფანტაზიაა და ამ ფანტაზიაზე ჩვენს პოლიტიკას ვერ დავამყარებთ.—მე მაქვს მხოლოდ ერთი სურვილი—რომ მთავრობამ აიღოს სწორი გზა საერთაშორისო მოქმედებისა და ჩემთვის დიდად სამწუხარო იქნება, თუ ვინმე ისე გაიგებს ჩემს სიტყვებს, თითქო მე მინდოდეს შევარყიო მთავრობის მდგომარეობა. პირიქით, მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ხალხი აიტანს ყოველ გაჭირვებას, ოღონდ კი დაიცვას და შეინარჩუნოს თავისი დამოუკიდებლობა. ჩვენ შეიძლება ზიანი მოგვადგეს მატერიალურად, მაგრამ ზნეობრივად ქართველი ერი არ გატყდება და ყველა განურჩევლად მიმართულებისა მთავრობას გვერდში ეყოლება საქართველოს მთლიანობის აღსადგენად და მისი თავისუფლების განსამტკიცებლად.

ევ. გეგეჭკორი ამბობს, რომ არა ერთჯერ გაუგზავნია ნოტები ინგლისის სახელობისათვის და არაერთჯერ მოუთხოვნია საქართველოს შელახულ უფლებების აღდგენა. ყველა ეს ნოტები—განაგრძობს ბ. გეგეჭკორი ხელში ჰქონდა ბ. გვაზავას.

და რათ დასჭირდა დღეს აქ ისეთი უსაფუძვლო საყვედურის წამოსროლა, მე არ ვიცი (გვაზავა ადგილიდან: ეს მართალია, მაგრამ პარიზის კონფერენციაზე რა გააკეთეთ?) ჩვენ ამ პოზიციაზე ვდგევართ, როგორც აქ, ისე ყველგან, მხოლოდ ჯერ-ჯერობით ჩვენს დელეგაციას არ მისცემია საშუალება კონფერენციაზე წარმდგარიყო. (გვაზავა: რით აიხსნება?) გვაზავა ამით ხსნის ამას, რომ იქ სოციალისტები არიან გაგზავნილნი. თქვენ, ალბათ, გახსოვთ, მოქალაქენო, რომ გვაზავა დელეგაციის საქართველოდან გამგზავრების წინ სწერდა და ამბობდა, რომ თუ სოციალისტები გავგზავნეთ, კონფერენციაზე არ დაუშვებენო. მაგრამ თქვენ ხედავთ და გვაზავამაც იცის, რომ სოციალისტები გაუშვეს; მე მგონია, რომ ამ შემთხვევაში ბ. გვაზავას ალაპარაკებს მხოლოდ პარტიული ინტერესები, ვინაიდან ობიექტიური მხარე საქმისა საბუთს არ გვაძლევს ასეთი გამოსვლებისა. დღეს მის აქ გამოსვლას, უნდა ვსთქვა, რომ გლახა სჯობი უდის, ერთი რომ სიმართლეს ღალატობს და მეორე, ამ გამოსვლით ის ხალხის ინტერესებსაც ღალატობს. თუ ვინმეს უდევს ბრალი ბათუმის დაცემაში, ეს იმათ, ვინც იმ ხანებში სხვანაირად სწერდენ.

შემდეგ ორატორი ეხება მთავრობის ხაზს და ამბობს, რომ მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს, რომ ბათუმი, რომელიც საქართველოს სხეულს ძალით ჩამოგლიჯეს, ისევ შეუერთდეს მას.

შემდეგ ორატორი უპასუხებს გვაზავას იმ. წერეთლის ამსტერდამის კონფერენციაზე დასწრების შესახებ და ამბობს, რომ ჩვენმა დელეგაციამ თავისი წმინდა მოვალეობა შეასრულა, სხვანაირად არ შეეძლო მოქცეულიყო. ჩვენმა მოთხოვნილებებმა სიმპატია უნდა მოიპოვოს საერთაშორისო დემოკრატიის თვალში. სწორედ ეს არის ჩვენი მიზანი. ბ. გვაზავა ლაპარაკობს დემოკრატიულ პოლიტიკაზე, მაგრამ ის სულ სხვა შინაარსს სდებს ამ „დემოკრატიულ პოლიტიკაში“. ჩვენთვის დემოკრატიული პოლიტიკის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენმა დემოკრატიამ მჭიდრო კავშირი გააბას სხვა ქვეყნის დემოკრატიასთან (გვაზავა: ინტერნაციონალის საშუალებით?) დიახ, ინტერნაციონალის საშუალებით.

თავის მეორე სიტყვაში **გ. გვაზავა** უფრო დაწვრილებით ეხება პარიჟის კონფერენციის მნიშვნელობას. ის სისხლი, რომელიც ჩვენ დავღვარეთ გერმანიის საზღვრებზე და ბათუმის მხარეში—ამბობს ორატორი—უნდა იქმნეს გატანილი და დადებული საერთაშორისო სასწორზე, სადაც სწყდება ჩვენი ბედი. გაიტანეთ და წარადგინეთ ეს არგუმენტები? არა. ჩვენი დელეგატი ივიწყებს ამას და გადადის მოწინააღმდეგე ბანაკში. ეს ბანაკია—ბერნი და ამსტერდამში, და იქიდან ემუქრებია ინგლისს და საფრანგეთს რევოლუციით, თითქო იქაური რევოლუცია რაიმე სიკეთეს მოუტანს საქართველოს.

ე. გეგეჭკორი. კიდევ იღებს სიტყვას და სცდილობს დაამტკიცოს, რომ ინტერნაციონალზე დამყარებული პოლიტიკა ძალიან სასარგებლოა.

ი. შაჰვაროიანის სტენოგრაფიულ სიტყვას ხვალ დავბეჭდავთ.

ილაპარაკეს კიდევ ბ. ივ. გომართელმა, გობეჩიამ და ბ. მდივანმა და ალ. მელაძემ

დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია!

„მოისმინა რა მთავრობის განმარტება სოც.-ფედერალისტების შეკითხვის გამო, დამფუძნებელი კრება სავსებით იზიარებს მთავრობის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია სამაჰმადიანო საქართველოს ჩვენს რესპუბლიკასთან შეერთებისაკენ და სრულიად დარწმუნებულია, რომ იგი ყოველ ღონისძიებას მიიღებს, რათა ბათუმი არ გადაიქცეს დენიკინის ჯარების ბაზად საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებისა. გადადის შორიგ საკითხზე“.

საქართველოს საკითხი ინგლისის პარლამენტში.

„ბაკინსკაია ჟიზნი“-ი გვაცნობს ერთ მომენტს ინგლისის თემთა პალატაში კრებისას, სადაც [illegible] ლოს საკითხიც.

„კომანდირ კენვორტის შეკითხვაზე მართალია ქართველებსა და ბრიტანეთის ჯარის შორის მართლა ჩამოვარდა მტრული განწყობილობა. ჩერჩილმა უპასუხა, რომ არავითარ შეტაკებას მათ შორის ადგილი არა ჰქონია.

საქმე შემდეგში იყო: ქართველებმა იერიშებით აიძულეს გენ. დენიკინი რომ გაგრის სამხრეთიდან დაეხია ჩრდილოეთით მდინარე, მახანდირამდე სადაც ისინი შეჩერდნენ. ეს წინსვლას ქართველთა მოხდა მიუხედავათ იმ პროტესტისა, რომელიც ამის გამო ინგლისის ჯარების მთავარ სარდალმა განუცხადა ქართველებს.

ქართველ ჯარს ეხმარებოდა ადგილობრივი ბრბოები და ბოლშევიკები. მაგრამ მის შემდეგ, როცა ჩვენ გაგრაში ინგლისის ჯარის გაგზავნით დავემუქრეთ სამხედრო მოქმედება შესწყდა.

კომანდირ კენვორტი: ჰყავთ თუ არა სრულ უფლებიანი წარმომადგენლობი ქართველებს პარიზის კონფერენციაზე.

ჩერჩილი: მე ეს არ ვიცი. მე ვიცი მხოლოდ რომ ჩვენ ნებას არ მივცემთ ქართველ ჯარს დენიკინის ჯარს თავს დაესხნენ.

დეპეშა.

ჩვენი პარტიის ახალგაზრდათა მესამე კონფერენციამ დამფუძნებელ კრებას გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„ეროვნულ-დემოკრატ ახალგაზრდათა კონფერენცია ესალმება ქართველი ერის სუვერენობის გამომხატველ მოწოდებულ დამფუძნებელ კრებას, რომელსაც უსურვებს საქართველოს ისტორიულ მთლიანობისათვის მედგარ ბრძოლას, საშინაო საქმეთა ნამდვილ დემოკრატიულ საფუძველზე აშენებას და კლასთა სოლიდარობის უზრუნველყოფას კულტურულ-ეკონომიური სიძლიერისა და ეროვნული ენების განსამტკიცებლად. ამ იდეის გასამარჯვებლად ეროვნულმა დემოკრატიამ მრავალი გმირი გასწირა და მომავალშიც მისი დაცვისათვის თავს არ დაზოგავს.

თავმჯდომარე **ხერხეულიძე**“.

ალ. სარაჯიშვილის მკვლელების აღმოჩენა.

ჩვენმა რედაქციამ გიორგი სარაჯიშვილისაგან გუშინ შემდეგი დეპეშა მიიღო:

„სამაზრო კომისარის ბალაშვილის ენერგიული მეცადინობით აღმოაჩინეს ბაკურციხეში ალ. სარაჯიშვილის მკვლელები და დაპატიმრებულნი დანაშაულში გამოტყდნენ და თითქმის ყველა გატაცებული ნივთები გამოაჩინეს.

გიორგი სარაჯიშვილი.

ქრონიკა

ქართული წირვა სამხედრო ტაძარში. კვირას, 22 თიბათვეს, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ტაძარში, რუსთაველის ქუჩაზედ (ყოფილი ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარი) შესრულებული იქნება პირველი წირვა ქართულ ენაზედ. წირვაზედ იგალობებს გუნდი კომპოზიტორ ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით. დღეიდან წირვა ტაძარში ქართულად შესრულდება.

დამატებითი არჩევნები. დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისიამ დაადგინა, დამატებითი არჩევნები 10 აგვისტოდან დაიწყოს. არჩევნები 3 დღეს გასტანს.

კულტურისა და შრომის კავშირის ახალი გამგეობა. ორშაბათს, 15 ივნისს შესდგა შრომისა და კულტურის კავშირის წევრთა საერთო კრება, რომელზედაც არჩეულ იქმნა ახალი გამგეობა. რომელშიაც შედიან: გ. თ. ჟორდანია, დეკანოზი ნ. ნათიძე, ივ. ბერიაშვილი, ივ. ნასიძე და ქეთ. ამირეჯიბისა. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქმნენ: გ. გორდეზიანი, ივ. მალალაშვილი და შიო კასრაძე.

საქ. ქალაქთა თვითმართველობათადმი. რადგანაც საქართველოს მთავრობა თანაგრძნობით შეხვდა საქარ. ყველა ქალაქებში და დაბებში მოძრავ გამოფენების გამართვას. გამოფენების მომწყობი მ. თოიძე სთხოვს საქ. ყველა ქალაქთა თვითმართველობათ. აცნობონ მას აქვთ თუ არა ბინა გამოსადეგი გამოფენისათვის და ან რომელ ქუჩაზე. (თოიძის მისამართი მონჩარნის ქ. № 32).

ხელსაქმეების გამოფენა ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების ჰერა-კერის სკოლის მოწაფეებისა გამართება კვირას, 22 თიბათვეს, დი-

ლის 11 ს. საღ. 7 ს. გაბაონთ შესახვევი № 3 პრო-კერძის სკოლის ბინაზე.

◆ **მესხეთ-ჯავახეთის დღე.** კვირას 22 ივნისს, ქართულ კლუბში გაიმართება დიდი სეირნობა მესხეთ-ჯავახეთის მცხოვრებთა სასარგებლოთ. დღისით ბავშვებისათვის მოწყობილი იქნება მრავალი გასართობები (ცნობილ „ბავშვების მეგობარის" ი. მ. სუნდუკიანცის ხელმძღვანელობით. საღამოს დიდი სეირნობა და კონცერტი საუკეთესო ძალთა მონაწილეობით. კონცერტში მონაწილეობას იღებენ ცნობილი მომღერლები: ვოლ-ლევიცკაია, გარტმანი, სარაჯიშვილი, ინაშვილი, პოლიაევი, ბალერინა ბაუერზაკს და ვაკარეცი. პოეტები: პაოლო იაშვილი, ლელი ჯაფარიძე, გალ. ტაბიძე და იუმორისტი თავზიშვილი. საღამოს დიასახლისია ქ-ნი მარ. რამიშვილისა.

◆ **საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი.** საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგად აზერბაიჯანის მთავრობას თან საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლად ნამყოფი ნ. ქარცივაძე დაინიშნა. ბატ. ქარცივაძეს უკვე შეუდგა თანამდებობის აღსრულებას.

◆ **სომხეთის პარლამენტის არჩევნები.** სომხეთის პარლამენტის არჩევნები დანიშნულია ღვინობისთვის. არჩევნებში მონაწილეობას იღებენ: დაშნაკელები, ესერები, მუსულმანთა ჯგუფი, ასურელები და იეზიდ-ქურთები. არჩევნებში მონაწილეობას არ იღებენ მენშევიკები და სახალხო პარტია.

ერობაში

◆ **სამაზრო კომისრის თანამდებობის გაუქმება.** თბილისის სამაზრო ერობამ 11 თიბათვის სხდომაზე დაადგინა, თანახმად რესპუბლიკის ერობათა წარმომადგენლების ყრილობის დადგენილებისა, გაუქმებულ იქმნას სამაზრო კომისრის თანამდებობა და ეცნობოს თბილისის მაზრის კომისარს, ჩააბაროს ყოველივე თავისი სამსახურის საქმეები, მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწეს შოუკაშვილს.

◆ **ტელეფონის ქსელის მოსაწყობად.** თბილისის სამაზრო ერობის გამგეობამ 71 თიბათვის სხდომაზე დაადგინა გადადებულ იქმნას მაზრაში ტელეფონის ქსელის მოსაწყობად 180,000 მანეთი.

იუსტიციის სამინისტროში

◆ **მინისტრის ამხანაგი.** როგორც სარწმუნო წყაროებიდან გვატყობინებენ იუსტიციის მინისტრის ამხანაგად საგანგებო საქმეთა სასამართლოს თავმჯდომარეს ივ. ჯაფარიძეს ასახელებენ.

◆ **ხარაჯიშვილის მკვლელების დაპატიმრება.** სიღნაღიდან საოლქო სასამართლოს პროკურორი ტატიშვილი იუსტიციის სამინისტროს დეპეშით ატყობინებს, რომ სამაზრო კომისრის ბალიშვილის მიერ მიღებულ ენერგიულ ზომების წყალობით, დაიჭირეს ა. ხარაჯიშვილის მკვლელები, რომელთაც აღმოაჩნდათ მკვლელების სხვა და სხვა ნივთები.

◆ **საადგილ-მამულო რეფორმა.** ახალქალაქის მაზრის პირველი რაიონის მიწის კომისიის თავმჯდომარე გ. ელიაზოვი მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილებას ატყობინებს, რომ მას 16 მაისიდან 1 ივნისამდე მიღებულია სახელმწიფო ფონდში: ხულგუმოში—363 დესიატინა მიწა, ხსალთაში—157 დესიატინა და არაგვის სოფლის საზოგადოებაში—665 დესიატინა—სულ 1185 დესიატინა.

◆ **ღალების აკრეფა.** მიწათ-მოქმედების სამინისტრომ თბილისის გუბერნიის სამაზრო ერობებსა და საადგილ მამულო კომიტეტებს სასწრაფოთ დაუგზავნა ინსტრუქციები საფონდო მიწებიდან ღალების აკრების შესახებ და წინადადება მისცა მათ დაუყოვნებლივ შეადგინონ სამაზრო, სარაიონო და სასოფლო ორგანიზაციები ხორბლეულობისა და თივის შესაგროვებლათ.

მიწად-მოქმედების სამინისტროში

◆ **საადგილ-მამულო რეფორმა ქალაქებში.** მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილებამ ერთი თვის წინათ საანკეტო ფურცლები დაუგზავნა რესპუბლიკის ქალაქთა თვითმართველობებს და შეეკითხა, თუ რა სახით სურთ მათ გატარდეს ქალაქების ფარგლებში საადგილ-მამულო რეფორმა. ამ ჟამათ განყოფილებაში საკმაო მასალამ მოიყარა თავი, რომელიც მოკლე ხანში დამუშავდება და შემუშავდება სათანადო კანონ-პროექტი დამფუძნებელი კრებისათვის წასარდგენათ.

◆ **კომისიის გამგზავრება.** კახეთს გაემგზავრენ მიწათ-მოქმედების სამინისტროს ინსპექტორები ბ. გედევანიშვილი და იეგორიევი სახელმწიფო მამულების დასათვალიერებლათ.

◆ **მამულის შემოერთება.** სახალხო ძვირფას ფასიან ბ. ტიზენგაუზენისა შეფერთა ნაფარეულის სახელმწიფო მამულებს.

◆ **ჟურნალის გამოცემა.** ამ მოკლე ხანში მიწათ-მოქმედების სამინისტრო გამოსცემს პოპულიარულ სასოფლო სამეურნეო საბაღოსნო ჟურნალს.

◆ **კრედიტის თხოვნა.** თელავის სამაზრო კრებამ შუამდგომლობა აღძრა მიწათ-მოქმედების მინისტრის წინაშე: გაეხსნას მას საჭირო კრედიტი ველურ მცენარეთა წამლების დასამუშავებელ მცენარეთა შესაგროვებლად განსაკუთრებით მცენარე „ბელადონასი".

◆ **სამეურნეო იარაღის დაკვეთა.** ამ დღეებში იტალიაში გამგზავრებულ მაიორ დელპროპოსტოს მიწათ-მოქმედების სამინისტრომ გადასცა დიდი ძალი მასალა და სიები ჩვენი სასოფლო სამეურნეო იარაღებისა და სხვა. რომ მან იტალიის სავაჭრო წრეები გააცნოს საქართველოს.

სხვა და სხვა ამბები.

◆ **მკვლელობა** 20 თიბათვეს დილით პავლოვის ქუჩაზე საგუბერნიო ბატალიონის ჯარის კაცმა გ. ყაზახაშვილმა თოფით მოჰკლა პ. ახვერდოვი. მკვლელი დატუსაღეს.

◆ **ქურდობა** არსენალის საწყობიდან მოიპარეს მთელი ყუთი ჯიბის საათებისა, სისხლის სამართლის მილიციამ ხაპარავი საქონელი აღმოაჩინა ამბარტუმოვლისა და ვაგონის მაღაზიაში. ეჭვით დააპატიმრეს ი. მელიქოვი. სტუდენტი ნ. ი. სამოსნოვი. და სარქის რუბინი, რომელთაც სხვა მოპარული ნივთებიც აღმოაჩნდათ.

◆ **უბედური შემთხვევა.** 19 ივნის 19 თებერვლის ქუჩაზე სამგზავრო ავტომობილი დაეჯახა ვინმე ტრეპოვს და მძიმედ დააშავა, იგი მიხეილის სახელობის საავადმყოფოში წაიყვანეს. სადაც გარდაიცვალა.

◆ **ფულის გამტაცებლის შეპყრობა.** სისხლის სამართლის მილიციამ ცნობა მიიღო, რომ ამას წინად მიწად მოქმედების სამინისტროს ხაზინადარის ერთი გამძარცველი გრ. ნიკონოვი ბათუმში იმალება. ამისათვის ბათუმში გაიგზავნა სისხ. მილიციის უფროსის თანაშემწე ნიჟარაძე, რომელმაც შეიპყრო ნიკონოვი და თბილისში ჩამოიყვანა. ნიკონოვი დანაშაულობაში გამოტყდა. მას გატაცებულ ფულიდან 4440 მან. აღმოაჩნდა.

სამხატვრო ქრონიკა

ნინო ჩხეიძე. როგორც დანამდვილებით გავიგეთ მომავალ სადრამო სეზონისთვის მოიწვევენ ნიჭიერ მსახიობ ქალს ნინო ჩხეიძეს.

გ. გარრიკი სწერს ახალ პიესას. სახელად „განდეგურებულნი". პიესის შინაარსი ეხება თანამედროვე ინტელიგენციის ცხოვრებას და დაწერილი იქნება სასცენო ხელოვნების უკანასკნელ სიტყვაზე.

საბავშვო თეატრი. როგორც ეს წინადაც გვქონდა მოხსენებული, თბილისში დაარსდა მუდმივი ქართული საბავშვო წარმოდგენების მმართველი ახალგაზრდათა საზოგადოება „საბავშვო თეატრი".—ამ საზოგადოების უმთავრესი მიზანია ბავშვებში გაანვითაროს სათეატრო საქმისადმი სიყვარული მოაწყოს ექსკურსიები საქართველოს სხვა და სხვა დაბა-ქალაქებში. ამ მიზნებით იგი შესაფერ მუშაობას ეწეოდა თითქმის ორი თვის განმავლობაში, ხოლო ამ უკანასკნელ ხანებში მან პრაქტიკული საქმიანობა დაიწყო და კვირას, თიბათვის 22-ს, შუადღის 12 ს., ქართულ კლუბში აპირებს პირველი საცდელი წარმოდგენის გამართვას. ამ წარმოდგენას გაიმეორებს სახალხო სახლში და სხვა პატარა თეატრებში, ხოლო შემდეგ გაემგზავრება პროვინციებში, სადაც აგრეთვე წარმოდგენა-კონცერტებს გამართავს. მონაწილენი თითქმის ყველანი მოწაფე-ბავშვები იქნებიან.

ქართ. სამუსიკო საზ-ბა. კვირას, 22 ივნისს დილის 11 საათ. ქართ. კლუბის დარბაზში შესდგება მეოთხე კრება ქართ. სამუსიკო საზოგადოებისა. ამორჩეული იქნება ახალი გამგეობა ილ. აბაშიძის მოხსენების ტეზისებით ე. ი. წარმომადგენელნი იქნებიან: ერობისა, ქალაქთა კავშირისა, პროფ. კავშირთა-კავშირისა, რკინის გზის მუშათა კავშირისა, სახალხო უნივერსიტეტისა, ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირისა, ქართ. მომღერალთა კავშირისა და პერსონალური შემადგენლობა ცნობილ საზოგადოებრივ მოღვაწეებისაგან. ამორჩეული იქნება განსაკუთრებითი სამუსიკო კოლეგია სპეციალისტებისაგან.

პროვინციის ცხოვრება

გარე-კახეთი.

გარე კახეთის მინდვრებში კალია გაჩნდა.

ახალქალაქი.

ახალქალაქის მაზრის მინდვრებში დიდძალი თაგვი გაჩენილა. მოსავალს დიდი საფრხე მოელის.

ს. კოდა.

ს. კოდიდან დაწყებული ვიდრე ვერამდე მდინარე ვერის შეყოლებით და თბილისიდან პრიუტამდე სეტყვამ ყოველნაირი ნათესი გაანადგურა.

მე-3-ე ინტერნაციონალი და დაშნაკ. პარტია

ტაშკენტიდან მოსკოვში შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს.

რუს. კომუნისტ. პარტიის ტაშკენტის საოლქო ყრილობაზე „დაშნაკცუტუნის" პარტიასთან დამოკიდებულების შესახებ ერთმა დელეგატთაგანმა განაცხადა რომ კომუნისტურ ინტერნაციონალის ერთ ერთ კრებაზე მიიღეს დადგენილება „დაშნაკცუტუნის" პარტია კანონს გარეშე გამოცხადდეს, სანამ ამის საწინააღმდეგოდ ოფიციალური საბუთები არ გვექნება.

საოლქო კომიტეტი გთხოვთ შეგვატყობინოთ როგორია ამის შესახებ დადგენილება ცენტრში, ან საერთოდ თქვენი შეხედულება „დაშნაკცუტუნის" პარტიაზე.

თუშები და ქისტები.

თუშეთიდან ჩამოვიდა დელეგაცია, რომელმაც გადმოსცა დამფუძნ. კრების წევრს გ. დ. ცისკარიშვილს, რომ მთაში ბოლოდროს აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა. ქისტების ყაჩაღობა გრძელდება. პირიქითის დუშეთში მცხოვრებლებმა მიატოვეს ოთხი სოფელი ჰონთიო, ჰეგო, დაკიურთა და ნაკუდართა, საიდგანაც ქისტები ეზიდებიან იქ დატოვებულ პურს და სხვ.

დანარჩენ სოფლებს და საძოვრებს თუშების მიერ შედგენილი დამცველი რაზმი იცავს, რომელსაც ხშირათ შეტაკება უხდება ქისტებთან.

ყოველივე ამის შესახებ 18 ივნისს. გ. დ. ცისკარიშვილმა და თელავ. სამ. ერობის დავალებით გამგეობის წევრმა ა. ბ. ხითახოვმე დელეგაციასთან ერთად მოხსენება გაუკეთეს სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრს და მიუთითეს სხვა და სხვა სასურველ ზომებზე, რის გამოც, მინისტრის განკარგულებით, თელავიდან გამოწვეულნი არიან მე-6 პოლკის უფროსი გენ მაიორი თავაძე და მაზრის კომისარი არონიშიძე.

საქართველოს წითელი ჯვარი.

თავისუფლებამ სხვათა შორის შეგვქმნა ეს ჩინებული დაწესებულება, რომლის მიზანია ამით თუ სხვა უბედურებით გამოწვეული ტანჯვა-წვალება შეუმსუბუქოს ხალხს. დიდი ხანი არაა, რაც ჩვენში წითელი ჯვრის დაწესებულება მოქმედობს და მან უკვე საკმაო სამსახური გაუწია თავის ხალხს. მე აქ მკითხველთა ყურადღებას სადღესოდ მივაქცევ სიმპატიურ საზოგადოებას მოქმედების სამსახურს. ომიანობამ და აღრევამ უპატრონოდ დასცა მრავალ ბავშვი, რომელთა მოუვლელობა საზოგადოდ დანაშაული იქნებოდა კაცობრიობის და სამშობლოს წინაშე. საქართველოს წითელმა ჯვარმა მოაწყო ჩინებული თავშესაფარი ამ ბავშვთათვის, სადაც თავდადებით, ძმობლიური სიყვარულით უვლიან პაწაწა, ობლებლებით, რომელნიც სამშობლოს უშვილებია. დღეს და ხვალ ამ ობოლთა თავშესაფარის სასარგებლოდ გაიმართება ყულაბებით ფულის შეგროვება. იმედია, საზოგადოება თანაგრძნობით შეხვდება ამ საქმეს და არ დაიშურებს თავის წვლილს ამ წმინდა საქმის სასარგებლოდ.

პ. ხურგულაძე.

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

19 თიბათვე.

ბოლშევიკური ცნობები

ჩერნიგოვი. ივნისის 16. ყველა ჯარში გაწვეული ჰუნგრეთის ქვეშევრდომი გაიგზავნა საერთაშორისო რაზმში ჩასაწერათ, რომელიც კონტრრევოლიუციასთან საბრძოლველად სდგება.

ლიონი. ივნისის 17. ამერიკის ყველა რაზმები, რუსეთიდან გაიყვანეს, გარდა რკინის გზის რაზმისა, და მოკლე დროში სამშობლოში დაბრუნდებიან.

ნაუენი, ივნისის 11. გუსტავ კლინგოფერს 5 წლის ციხე მიუსაჯეს მას ღალატი ბრალდება.

ლვოვი, ივნისის 17. თავდაცვის საბჭოს დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ, მაზრებიდან დეზერტირების მთელი რაზმების ბრუნდებიან და აცხადებენ, რომ ისინი ფრონტზე დაბრუნდებიან.

ბერძნები და ქართველები

(დასასრული)

თვით გარდაცვალებულ სწავლულის მატურაზე აღნიშნავდნენ, რომ ის იყო „ფილოსოფოსი" ანუ „სოფისტი", „გრამატიკოსი" ანუ „რიტორი", სწორეთ ისრე, როგორც ეხლა ამბობენ **Dr. phil.** ან **Dr. theol.**

2000 წლის წინად ბერძნები ახლოს იდგნენ იმ დროზე, როდესაც ადამიანის აზრთა და გრძნობათა გადასაცემად მოიგონეს ანბანი; დაწერილი სიტყვა მაშინ წმინდა მისნურ, სასწაულებრივ საგნად ითვლებოდა. რაც შეეხება ძველ მგოსნებს, მეტადრე ჰომეროსს, აქ დაწერილ სიტყვისადმი მოწიწებას ემატებოდა კიდევ ორი გრძნობა.

პირველი გრძნობა—ეს პატივისცემა ძველისა, რის გამო წარსულის ხმა უფრო მეტ ზათქით გამოისმოდა ვიდრე აწმყოსი, რადგან იგი იყო ხმა ეპოქისა, როდესაც ცხოვრობდნენ ღმერთად დასახული გმირები, რადგან იყო ხმა გავრცელებულ ლეგენდებისა, განთქმულ მითებისა, პირვანდელ იდეალური ცხოვრების თვითონ ტვიფრისა*), გაღრმავებულ აზრის მატარებელ პრინციპებისა, აგრეთვე — წოდებულ „ცხოვრებათა სიბრძნისა", რომელიც სარწმუნოებადაც დაიდებოდა.

მეორე გრძნობა—ეს იყო რწმენა შთაგონება—აღფრთოვანებისადმი. დაწერილ სიტყვის მისნურ ძალას ემატებოდა მიზიდულობა რიტმისა და მელოდიისა: ოდეს უბნობდნენ ღმერთები, იგინი უბნობდნენ ლექს წყობილად, ხოლო მგოსნები გალობდნენ ღვთიურ შთაგონების გავლენით: ღმერთები შთააგონებდნენ სიტყვებს და მგოსანნი კი იყვნენ მხოლოდ ამ სიტყვების გამმარტებელი მთარგმნელები. ეს იყო რწმენა არა მარტო ხალხისა, ის სჯეროდათ თვით უკეთეს მოაზროვნეებსაც. ბრძნული და ჭეშმარიტი აზრები შესახებ ღმერთისა და მსოფლიოსი, გამოთქმულნი კაცების მიერ, გახდნენ კაცობრიობის კუთვნილებად მხოლოდ ღმერთების ნებითა და შეწყობით, მხოლოდ შუამავლობით უწინდელი წინასწარმეტყველებისა და ღვთის კაცებისა. მგოსნები, ნამდვილი ძველი პოეტები ითვისებდნენ მოკლე უწყებებს მუზთაგან: ეს იყო ერთგვარი შთაგონება ღვთიურ წარმოშობისა და სიმართლისა, ვით შუქი უხილავ ცეცხლისაგან.

ამ სამმა მოსაქმემ—ნაწერის მისნურ თვისებამ, მოწიწებამ წარსულის წინაშე და შთაგონების რწმენამ—იმოქმედეს ერთად მისთვის, რომ უწინდელ პოეტების ნაწარმოებთ მიეცა განსაკუთრებული მნიშვნელობა და პოეტებიც ამაღლდა სივრცის, დროის და გარეშე პირობათა ჩვეულებრივ საზღვართა ზე. ჰომიროსის ლექსები არ იყო გამოთქმა ცალკე პიროვნებისა, განსაკუთრებულ მნიშვნელობით ერთის ცნობილ ეპოქისა, მაგრამ საყოველთაოდ მიჩნეულ იყო ყველასაგან, აღიარებულ იყო ხმად უკვდავ სიბრძნისა, ბიბლიად ბერძენთ თემებისთვის. იგივე ხომ ჩვენშიაც გამეორდა: შოთა—ეს ჩვენი ჰომიროსია, მასხარ უკვდავ ჰანგების მფრქვეველი, მასხარ ღვთის შთაგონებით შაირმეტყველი.

იმ დროის საბერძნეთში ლიტერატურას წარმოადგენდა ძველ პოეტების ნაწერები, და ლიტერატურულ განათლებადაც ითვლებოდა. სწორეთ იმ პოეტების გაგება. ჰომიროსის სიმღერები ყველგან სასწავლო საგნად მიღებული იყო, თვით დასაწყის სკოლებშიაც კი. სწამდათ, რომ სათნოებაც შეიძლება იყოს იგივე სასწავლო საგანი, ვით ლიტერატურა, და ჰომიროსი კი დასახული იყო სათნოებისა და მშერის შესასწავლად, ასაგებად ზნეობრივ ნორმებისა და მეტაფიზიკურ თეორიებისა. მაგრამ შემდეგ დროებში მასაც გამოუჩნდნენ კრიტიკოსები, რომელნიც ამტკიცებდნენ, ჰომიროსი ულვთო იყოო. მაგრამ ამისთანებს ბევრნი უპასუხებდნენ: ჰომიროსი ულვთო იქნებოდა, თუ ალეგორიულად არ იწერაო. მის ნაწერებში ულვთოება არსადაა, მისი სიტყვები წმინდაა და ულვთოების გარეშეო.

ამისთანავე ამბობდა ჩვენში ჩვენი სამღვდელოება შოთას შესახებ, ანტონი კი სწერდა:

„შოთა ბრძენი იყო, სიბრძნის მოყვარე, ფრიად ფილოსოფოსი. მეტყველი სპარსთა ენის, თუ-რამ სწადოდა, ღვთის მეტყველიცა მაღალ, უცხო საკვირველ პიიტიკოს მესტიხე, მაგრა ამაოდ დაშვრა, საწუხარს ესე".

მიიქცევდა ყურადღებას ლექციების მოწყობის საქმეც. ლექციები იმართებოდა ხან კერძო ბინაზე, ხან თეატრში, ხან სადმე ქუჩაში. ლექტორი (პროფესორი) გამოდიოდა განსაკუთრებულ საცმელში ან იბლარდნიდა მას მაყურებელ-მსმენელთა წინაშე. მერე ადიოდა კათედრაზე. სიტყვას იწყებდა შესავლით. ხშირად თემას ამოარჩევდა ხოლმე თვით საზოგადოება. ლექციის შემდეგ პროფესორი ჩამოუვლიდა მსმენელებს, რომ გაეგო მათი აზრი ნათქვამის შესახებ: ამ აზრს დიდათ აფასებდნენ. ჯერ ისევ ლექციის დროსვე გულისფანცქალით თვალყურს ადევნებდნენ მოწონს საზოგადოებას მათი მჭევრმეტყველება თუ არა. ამის მომასწავებელ ნიშნებად იყო ყურადღების სმენა ლექციისა და ტაში. ლექტორი ხშირად იხვეოდა, როდესაც აუდიტორიიდამ არ ესმოდა ტაში ან ვაშა! ოხაი! იგი ცას ეწეოდა, როდესაც გაიგონებდა სიტყვებს: „შენის მჭევრმეტყველობის სილამაზეს, პროფესორი შეეძლია იმოქმედოს ქვეზედაც კი!"

პროფესორები ეძებდნენ ფულსა და დიდებას. დიდს პატივში იყვნენ: მათ უსმენდნენ. მათ ნიშნავდნენ ელჩებად, მმართველებადაც კი. თუ რაიმე დიდი იყო მათდამი პატივისცემა, გამოსჭვივის მატურების დაშთენილ წარწერებით:

— მეფე ქალაქთა მეფეს მჭევრმეტყველებისას.

— ერთი შვიდ ბრძენთაგანი თუმცა ჯერ 25 წლისაც არ იყო

— ყოველივე დაუმორჩილა თავის მჭერმეტყველებას.

ზოგი ფილოსოფოსი ეუბნებოდა მსმენელებს, უპრიანია კაცმა დასტოვოს საზოგადოება, ქალაქი და გაიქცეს უდაბნოდ და იქ მიეცეს მყუდრო მსჯელობას. ამისთანებს ხრისოსტომი ამხილებდა: გაიქცე კი არა, მჭიდროდ უნდა იცხოვროო საზოგადოებაში, მასში აღიზარდოს სული და დაუმორჩილოს იგი გონიერებას. დამკვიდრდა რწმენა, რომ ფილოსოფია თვით ცხოვრებაში უნდა განხორციელდესო. ამგვარად გამოიყვნენ ჩვეულებრივ საზოგადოებას ფილოსოფოს-პროფესორები. ამათი ჩაცმა-დახურვა, საწოლი და ცხოვრების წესი განირჩეოდა ჩვეულებრივ კაცთა ცხოვრების წესებიდამ. წვერს გრძელს იყენებდნენ, ძველ სპარტაკელების მსგავსად. იცვამდნენ მხოლოდ უხამს საბლარდნელს, რომელსაც ფილოსოფოსის საცვალს უწოდებდნენ.

დიონ ხრისოსტომი: როდესაც ხალხი ხედავს ვისმე ფილოსოფოსთ საცმელში, ამბობს: ასე აცვია იმის გამო კი არა, რომ მიზნლავდეს ან მწყემსი, არამედ მისთვის, რომ გააფრთხილოს შეხვედრილი კაცი და ამხილოს, არავის რა დაუთმოს, არავის დაინდოს; ფილოსოფოსი ცდილობს, რამდენადაც შეიძლება, დაუახლოვდეს ხალხს, აუხსნას მას მდგომარეობა, გამოაკეთოს, გამოაუმჯობესოს.

არსებობდა საგულისხმიერო სწავლა შესახებ ღვთისა და ადამიანის ურთიერთობისა.

დაწესდა ორი მოთხოვნილება: პირველი „მიჰყვე ბუნებას", მეორე „მიჰყვე ღმერთს".

ეპიქტეტი: გახსოვდეს, რომ შენ ხარ მე რას ვამბობ ამით? იმას, რომ ყოველივე რაც შენ გეკუთვნის, ის კუთვნილებაა მამისა შენისა, მარად უნდა იყოს მისი მორჩილი, არასდროს სხვასთან მასზე ცუდი არ უნდა ილაპარაკო, არასდროს მას ავი სიტყვა არ უნდა უთხრა, ბოროტი არ უნდა ამხილო, ყოველისფერში უნდა დაუთმო, რამდენადაც ძალგიძს მას დაეხმარო კვლავ გახსოვდეს, რომ შენ ხარ ძმა. უნდა იყო და-ძმის მოხათრე, მოსიყვარული, კარგს უნდა ამბობდე მათ შესახებ, არ უნდა ცდილობდე აღიმაღლო თავი მათ წინაშე იმის შესახებ, რასაც შენი ნება ვერ მისწვდება, პირველობა მოინდომე მასზე, რაზედაც უფლობს შენი ნება. თუ ხარ წევრი საქალაქო საბჭოსი, გახსოვდეს შენი თანამდებობა. თუ ხარ ახალგაზდა, გახსოვდეს შენი სიჭაბუკე, თუ ხარ მოხუცი, მოიხსენი მოხუცებულობა. თუ მამა ხარ, გახსოვდეს, რა მოვალეობა გაძევს. ყოველ კერძო შემთხვევაში თვით სახელი, რომელსაც ატარებ, გიჩვენებს, რა უნდა აკეთო.

ღვთის მიყოლა კიდევ საჭირო იყო ამისთვის.

ეპიკტეტი ამბობს: კაცის სიცოცხლის დასაწყისი და ოხვანი ღმერთშია. ჩვენ ღვთის შთამომავალნი ვართ. ყველა ჩვენთაგანს ნება აქვს იწოდოს ძედ ღვთისა. ჩვენი ხორცი მონათესავეა მსოფლიოსი ხოლო სული შეკავშირებულია ღმერთთან და მისი მონათესავეა, რადგან მისი ნაწილია, მის არსების ნაწევარი. არ არის არც ერთი სული, რომელსაც ღმერთი ვერ ხედავდეს, რადგან მასთან არსებით ერთნი ვართ. ყველას გული მისთვის ღიაა, ყველას სურვილი მისთვის ცხადია. დავდივართ თუ ვჭამთ, იგი სუფევს ჩვენთან. ჩვენ ვართ მისი საკურთხეველი, მისი ცოცხალი ტაძარი. ჩვენ—ეს ღმერთია ხორცშესხმული. ესეთი ნათესაობა ღმერთთან ჩვენ გვხდის უპირველეს შემოქმედად. ჩვენ მასთან შევადგენთ უდიდესს, უმაღლესს და ურცელესს განსახიერებათაგან.

სამწუხაროდ საქართველოს წარსულის შესახებ ასეთ დაწერილებით არ შენახულა ცნობები. საზოგადოდ კი ვიცით, რომ ბევრი კარგი ბერძნები შეიძინეს საქართველოდამ! ჯერ ისევ ნორჩი ბერძნები (არგონავტები) რომ მოვიდნენ, აქ დახვდათ გაჩაღებული ცხოვრება, რომელსაც ამშვენებდა სასახლეები, ქალაქები, მეურნეობა, ცოდნა წამლების კეთებისა, მადნეულობის დამუშავება და სხ. აქედანვე და ეგვიპტიდამ გადიღეს უმეტესი ნაწილი ღმერთებისა თვით ქალღმერთ ათინითურთ, ხოლო მათ რჯის ტანსმცველები იყვნენ კოლხელები (სტაბ. X 472). საქართველო მიაჩნდათ იგი ოოვე აღთქმულ ქვეყანად, ვით ებრაელებს პალესტინა. ეს იყო მარად წმინდა, მარად გზიანი.

ევსევი (270—240 ქრ. წ.) თავის ქრონიკაში (1—32) აღნიშნავს კოლხეთის ფილოსოფოსს მარსიასს (ალბად იყო მარშანიებიდამ). წერასაც საქართველო ისევე ადრე გაეცნო, ვით საბერძნეთი, ეგები წინადაც, ვინაითგან, როგორც სხვა დროს შევნიშნეთ, წერა (—ჭარა ჭვერა.) გამოსთქვამს ჭრას და ქვა-ლითონზე ჭრა-წერა კი უწინარეს ჭამების ამბავია.

კოლხიდაშივე იყო გამოჩენილი ორატორი აიეტი 554 წ. ქრ. შ. მწიგნობრობის აყვავება ხომ ჩვენში დაიწყო ადრითგანვე. საცა ადგენდნენ დიდ ქრისტომატიებს, საცა ღაღადებდნენ (ჯიბიძე) „მზე და მთვარე ხორცია ჩვენთათვის არსებობენო, ხოლო წიგნი სულთა ჩვენთა გასანათლებლადო, საცა მოღვაწეობდნენ მიქელები, ხანძთელები, სერაპიონები, მტბევრელები, ათონელები, ხახულელები და მრ. სხვანი, იქ შეუძლებელი იყო განათლების საქმეც მკვიდრს, შედარებით, ნიადაგზე არ ყოფილიყო დაყენებული. მით უმეტეს, რომ საქართველო საბერძნეთ შორის ადრიდგანვე გაბმული კავშირი არ შეწყვეტილა ჟამთა განმავლობაში. პირიქით, ათონის ლავრის წყალობით უფრო განმტკიცებულია, რადგან მის შუამავლობით ქართველი მოზარდობა არ იყო მოკლებული შეძლებას წასულიყო საბერძნეთს და იქ დასწაფებოდა ბერძენთ განათლებასა და ფილოსოფიას. ვით ბერძნებს, ჩვენცა გვყვანდნენ გრამატიკოსები, რიტორები, პიიტიკოსები ფილოსოფოსები, მჭერმეტყველები, მგოსნები, რომელთაგან პირველი, ფილიპე სჩანს მე-X საუკუნეში.

გრამატიკოსად იხსენიების გიორგი მთაწმინდელი, რომელმაც წერა-კითხვა ისწავლა თავის დის სკოლაში ტაძრისს.

აგეთივე იყო იოანე გრძელისძე მე-X—XI ს-ში, „ციგნთა თარგმანი წმინდა ღრამატიკოსი, კაცი რიტორი".

კიდევ არსენი იყალთოელი, დ. აღმაშენებლის მოძღვარი, რომლის „არს საქმედ ფისიკა, კვალად ანატომია, ფილოსოფია, სილოგიზმო, აღმოჩინება ვეროსაგან დარღვევადი".

იოანე პეტრიწი ხომ განთქმული ფილოსოფოსი იყო „ღრამატიკოსიც" წიგნთ მთარგმნე მაღალ ფრასად.

საკმაოა გაიცნოს კაცმა ქართული წერილი მონუმენტები მე-VII—X საუკუნოებისა, რომ დარწმუნდეს, თუ რა ფილოსოფიად განვითარებულია ქართული ენა და თან მიხვდეს, რომ მისთანას გამომუშავება უნდა ყოფილიყო საქმე არა ერთი სკოლისა, არა ერთ ფილოსოფოსის—ღრამატიკოსისა, არა ერთ თაობისა, არამედ მრავალ თაობათა, მრავალ წარჩინებულ სკოლებისა, მჭერმეტყველებისა, [illegible], [illegible].

მ. ჯანაშვილი.

---

*) ტვიფრი ბერძნულის მართლწერით არის იგივე, რასაც დღეს სწერენ „ტიპ" მისგან ჩვენში ტვიფრა, ტვება და სხ.

ციით საშუალებით ისარგებლოს. რუმინიის პოლონეთის და ჩეხო-სლოვაკების კავშირი უფრო მეტს საფრთხეს წარმოადგენს. ამ კავშირით შექმნილია შავი ზღვიდან ბალტიის ზღვამდე ერთი კონტრ-რევოლუციონური ფრონტი. შინაურ ფრონტის მდგომარეობის შესახებ რაკოვსკიმ სთქვა: ჩვენს წინააღმდეგ 100,000 კაცზე მეტისაგან შემდგარი ჯარი იბრძვის, მაგრამ ეს არმია უმეტეს ნაწილად შესდგება იმ გლეხებისაგან, რომელნიც დენიკინს არ თანაუგრძნობენ და რომლებიც ჯარში არეულობას შეიტანენ. დასავლეთის ფრონტზე პოლონელებს 10,000 კაცზე მეტია. მიღებულ რეზოლიუციაში დაადგინეს: სრულიად რუსეთის ც. ა. კ. რეზოლიუციას შეუერთდნენ მთელი საბჭოთა რესპუბლიკის ფრონტის გაერთიანების შესახებ. გადასწყდა 3 კაცისაგან შემდგარი კომისია აირჩიონ სხვა რესპუბლიკის კომისართან ერთად კონკრეტიულ ფორმების გამოსამუშავებლათ. კომისიაში 2 კომუნისტი და 1 უკრაინელი ესერი შევა. მიიღეს დადგენილება: ც. ა კომიტეტის შემადგენლობაში უკრაინის მემარცხენე სოც.-დემოკ. წარმომადგენელი და ებრაელთა კომუნისტური კავშირის 3 წარმომადგენელი შევიდეს.

პუდაფე, ივნისის 17. ვოლინზენის რაიონში წითელი ჯარი, რომელიც თეთრების შესახვედრათ წავიდა, არც კი შეტაკებია მათ, რადგან თეთრები ჩვენი რაზმების მოახლოვების დროს ჩრდილოეთისაკენ გაიქცენ.

ლიონი, ივნისის 17. პარიზის გაზეთებში ცნობაა დაბეჭდილი ნიუ-იორკში რუსეთის საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლის დაპატიმრების შესახებ. ნამდვილი ცნობები ჯერ არ არის.

მოსკოვი, იუწყებიან, რომ გერმანიაში გენერალურ შტაბის ყოფილ უფროსის მოლტკეს მოგონებითა გამოქვეყნება აკრძალულია. მოლტკე გერმანიის ომის დაწყებამდე უკანასკნელ ხანს აკრიტიკებს. მოგონებითა ნაწილი რომელიც 1914 წელს ამბებს ეხება. ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენდა გერმანიაში ომის პასუხისმგებლობის საკითხისადმი დამოკიდებულების შესახებ მოგონებანი ზავის შეკვრის შემდეგი დაიბეჭდება.

ნაუენი, ივნისის 17. შვეიცარიის ფრანგებშიაც იწყება უკმაყოფილება პარიზის ხალხთა ლიგის პროექტი. ჟენევის უნივერსიტეტის პროფესორმა მალიმ ბროშიურა გამოუშვა, სადაც ის პარიზის პროექტს კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს. შეთანხმების სახელმწიფოებში მუშათა მოძრაობა ძლიერდება. ჰოლანდიიდან: იუწყებიან „ინგლისის მანქანის და გემების საკეთებელ სამრეწველოებში ყოველ წუთს შეიძლება დაიწყოს მილიონი მუშის გაფიცვა. ბრიუსელიდან იუწყებიან: ბელგიის სოციალისტურმა პარტიამ დემონსტრაციები მოაწყო შრომის ხელფასის განსაზღვრულ ნორმის დაწესების სასარგებლოთ. იტალიის გაზეთი „ავანტი“ სწერს, რომ საყოველთაო გაფიცვები შეთანხმების სახელმწიფოებში მხოლოდ დროებით გადაიდო და მალე ყველგან დაიწყება.

კიევი, ივნისის 15. კამენეც-პოდოლსკიდან იუწყებიან, რომ გენ. ჰალერის ჯარის კაცები რუსეთის ფრონტზე წასვლაზე უარს აცხადებენ. პოლონეთში მომავალ მობილიზაციის გამო მუშები და გლეხები აღელვებულნი არიან.

ბერლინი, ივნისის 10 ლუგანიდან „ფოსიშე ცაიტუნის“-ამ მიიღო ცნობა, რომ იტალიის სოციალისტურმა პარტიამ მოწოდება გამოუშვა, რომელშიაც ნათქვამია, რომ საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის სოციალისტურ პარტიის წარმომადგენელთა შორის შეთანხმება მოხდა სამივე ქვეყნის პროლეტარიატის საერთო პოლიტიკის შესახებ, იმ მიზნით, რომ დამარცხებულ ქვეყნების პროლეტარიატს დაეხმარნენ, რათა რუსეთის და უნგრეთის სოციალისტურ რესპუბლიკის დამარცხებაში ხელი შეუშალონ. საერთაშორისო პროლეტარიატი მზად უნდა იყოს.

ჰოსპიტლების სამხედრო უწყებიდან

(წაკითხულია ექიმთა კომისიაში).

სამხედრო საავადმყოფოების სამხედრო უწყებიდან სრულიად გამოყოფის და მათი სამოქალაქო უწყებისადმი გადაცემის სურვილს თავისი მოკლე ისტორია აქვს.

1) ჯერ კიდევ შარშან ამ საკითხმა მიიპყრო ყურადღება სამხედრო ექიმთა ყრილობისა, რადგანაც სამხედრო საავადმყოფოების სამხედრო უწყებიდან გამოყოფაზე პრესაშიაც იწერებოდა მაშინ და კერძო თათბირზედაც იხსენიებოდა.

სამხედრო ექიმთა ყრილობაზე ღვინობისთვის 18-ში, ამ საკითხის შესახებ წარმოდგენილი იყო ორი მოხსენება. კრებამ უარჰყო ჰოსპიტლების სამხედრო უწყებიდან გამოყოფა და დაადგინა: „სამხედრო სასანიტარო ნაწილი ცალკე კორპუსს უნდა შეადგენდეს, საკუთარი ჰოსპიტლებით; თბილისის ჰოსპიტალი უნდა მოეწყოს ისე, რომ წარმოადგენდეს ერთგვარ კლინიკას, სადაც ახალგაზდა ექიმებს შეძლება ექნებათ გამოცდილ ამხანაგებთან, დრო გამოშვებით მეცადინეობით, ამა თუ იმ დარგში, მიიღონ სპეციალური მომზადება; ჯარის ნაწილებიდან ყოველ წლივ ექიმები უნდა იყვნენ მიჩემებულნი ჰოსპიტლებში სამეცადინოთ“ ეს დადგენილება პრეზიდიუმის მიერ სამხედრო მინისტრს წარედგინა მაშინვე.

2) წელს ეს საკითხი დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიას გაურჩევია და, როგორც გადმოგვცემენ, კიდეც გადაუწყვეტია სამხედრო ჰოსპიტლების და ლაზარეთების სამხედრო უწყებიდან გამოყოფა.

3) ამ წლის პირველ თიბათვეს, როდესაც მინისტრის ამხანაგმა პირველად გახსნა ჩვენი კომისიის კრება და მომავალი სამუშაო გეგმა დაგვისახა, სხვა უმთავრეს კითხვათა შორის, ეს საკითხიც გადასაწყვეტად ჩაგვითვალა.

ამ ნაირად, როგორც სჩანს, სამხედრო საავადმყოფოების ბედი საბოლოვოდ ჯერ სულ არ გადაწყვეტილა და რაც აქამდის ამ საკითხის შესახებ დაწერილა, ან თქმულა, შეადგენს მხოლოდ მის მოკლე ისტორიას. კომისიის მოვალეობაა ეხლა საკითხის ყოველის მხრივ გარჩევა და საბოლოვო გარდაწყვეტილების გამოტანა, რათა შესდგეს შესაფერი კანონ პროექტი მთავრობაში წარსადგენათ.

4) ვფიქრობთ, რომ ვიდრე ეს საკითხი გარდაწყვეტილებას მიიღებდეს საბოლოვოდ, საჭიროა უწინარეს ყოვლისა, გავითვალისწინოთ და ნათლად დავისახოთ თუ ა) რა და რა სამხედრო სასანიტარო დაწესებულებებს ვფიქრობთ გადავცეთ სამოქალაქო უწყებას, რას ვტოვებთ სამხედრო უწყებას ხელში და რა გზით უნდა მოხდეს ასეთი გადაცემა. ბ) ექმნება კიდევ რაიმე დამოკიდებულება სამხედრო სასანიტარო უწყებას სამოქალაქოიდან, თუ ეს საჭირო აღარ იქნება, გ) რა გზით და როგორი პირობებით იქმნებიან ხოლმე მიღებულნი სამოქალაქო საავადმყოფოებში სამხედრო პირნი დ) იქმნება რაიმე გეგმა შემუშავებული, რომ ჯარის ნაწილების ექიმებს შეძლება ჰქონდეთ, დრო გამოშვებით მაინც, სამოქალაქო საავადმყოფოებში იმუშაონ, რათა არ ჩამორჩნენ თავიანთ პროფესიას. ე) როგორ მოეწყობა სამხედრო უწყებისათვის ფერშალთა და სანიტართა მზადდება ვ) სამხედრო სასანიტარო უწყებას ექნება რაიმე საკუთარი საწყობი, თუ სამოქალაქო უწყება თვითონვე გაუძღვება ამ საქმესაც.

ბევრი ამისთანა წინასწარი კითხვების გაშუქებაა საჭირო, რადგანაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კითხვები ისეთ ერთი ერთმანეთში გაბმულ-გადაბმულნი, რომ რომელიმე მათგანის ზერელად გადაწყვეტა არ ივარგებს; შეიძლება ამას უნებლიედ მოჰყვეს მეორის დაავადება მხოლოდ როდესაც დავრწმუნდებით, რომ ასეთი გადაცემით ხარჯი საგრძნობლად მცირდება და სანიტარული საქმეც უკეთესი ნიადაგზე ემყარება, მაშინ, რასაკვირველია, დავადასტურებთ ასეთ გადაცემას. თუ კი დავინახავთ, რომ სანიტარულ საქმეს ჯარში ცოტა ოდნათ მაინც ვნება ეძლევა და ამასთანავე ხარჯიც არ მცირდება, მაშინ მხარს ვერ დაუჭერთ გადაცემას.

5) რომ ყოველისფერი ნათლად გამოირკვეს საჭიროა გადაცემის მომხრეებმა დაგვისაბუთონ გადაცემის უპირატესობა, ნათლად გვიჩვენონ ის დადებითი მხარეები, რომლებიც გადაცემას მოჰყვება. იმათაც, ვინ არ იზიარებენ გადაცემას, უნდა გვამცნონ გადაცემის უსარგებლობა და, როდესაც საკითხს ყოველის მხრივ ავწონ დავწონავთ, მაშინ ვიტყვით ან „ჰოს“ ან „არას“

6) მე არ ვიზიარებ იმ აზრს, რომ თბილისის და ქუთაისის ჰოსპიტლები სამხედრო უწყებას ჩამოვაშოროთ და სამოქალაქოს გადავცეთ და აი რა მოსაზრებით:

თუ საქართველოს რესპუბლიკას ეყოლება მუდმივი ჯარი, სასანიტარო ნაწილიც საკუთარი და მთლიანი უნდა ჰქონდეს, თავისი ჰოსპიტლებით და საწყობებით.

უამისოდ სამხედრო სასანიტარო ნაწილი მშიერს დაემგზავსება, რომელიც ხან ვის კარ მიადგება, ხან ვისას. ჰოსპიტლების დაკარგვით სამხედრო სასანიტარო უწყებას გამოეცლება უმთავრესი მისი სასიცოცხლო ძარღვი, ურომლისოდაც მისი ნორმალური არსებობა შეუძლებელი გახდება.

7) რომ ნათქვამი არავის უჩვენოს უბრალო სიტყვის მასალად, მოვიყვან აქ რამდენიმე მაგალითს:

ა) ავილოთ თუნდა სამხედრო ექიმთა შემადგენლობა.

რას უნდა წარმოადგენდეს მაშინ, ე. ი. როდესაც სამხედრო ჰოსპიტლები სამოქალაქო უწყებას გადაეცემა, სამხედრო ექიმთა მდგომარეობა? მთელი თავისი სამსახური ჯარის ნაწილებში უნდა გაატარონ და რას უნდა დაემგზავსნენ ისინი, ხანა როცა გაივლის. რაღა შერჩებათ იმათ ექიმობისაგან, თუ დრო გამოშვებით არის მაინც, არ მოუხდათ გამოცდილ ამხანაგებთან ჰოსპიტალში მუშაობა და ცოდნის პრაქტიკულად გაფართოვება რა გამოსადეგნი იქნებიან ისინი თვით ჯარის ნაწილებისათვის მშვიდობიანობის დროს და როგორ გამოვიყენოთ ისინი ომიანობის დროს საველე საავადმყოფოებში. სად ვეძებოთ მაშინ გამოცდილი ადმინისტრატორები, ღოსტაქრები და სხვა საგანგებოდ ომიანობისათვის მომზადებულნი პირნი, როდესაც სამხედრო ექიმებს არავითარი პრაქტიკული მომზადება არ ექნებათ, გარდა იმისა, რომ ხანგრძლივი სამსახურის დროს მხოლოდ უნახავთ ჯარის ნაწილებში ავადმყოფნი.

რითი მივიზიდოთ ასეთ უფერულ და ყოველის მხრივ უსარგებლო სამსახურში სამხედრო ექიმნი. როდესაც დაინახვენ, რომ სამხედრო სამსახურმა ექიმობისა მათ არარაფერი შეუნარჩუნა, თუ ეს ასე იქნება, სჯობს ეხლავე დავასამართოთ სამხედრო სასანიტარო ნაწილი.

მაგრამ რასაკვირველია ასეთი ფიქრიც კი არავის მოუვა.

ალბათ ეს საქმე ისე მოგვარდება, რომ სამხედრო ექიმებს შეუძლებათ საზოგადო საავადმყოფოებში მუშაობა და ცოდნის ამგვარად გაფართოვება. ეს რასაკვირველია, თუ ცოტა ანგარიშს არ გავწევთ მისალებია. მაგრამ თუ სინამდვილეს ჩაუკვირდებით, მაშინ დაბრკოლებას აღმოაჩენთ

საქმე იმაშია, რომ ჯარის ნაწილებიდან არ შეგვეძლება ერთბაშად ახალგაზდა ექიმთა საჭირო რიცხვი მოვწყვიტოთ და საზოგადო საავადმყოფოებს მივჩემოთ სამუშაოდ, რადგანაც, ჰოსპიტლების უქონლობის გამო, სამაგიერო ექიმებს ჯარის ნაწილებს ვერ გაუგზავნით ვერსაიდან და ჯარის ნაწილები ამ შემთხვევაში უექიმოდ დარჩებიან. ამჟამად სამხედრო უწყებას ორი ჰოსპიტალი და ექვსი ლაზარეთი აქვს, სადაც 50 ექიმი მუშაობს. მიჩემებულნი არიან აგრეთვე სამეცადინოთაც. ეს 50 ექიმი ყოველის მხრივ მომზადებულია, რომ ომიანობის დროს საველე საავადმყოფოებში ღირსეულად საქმეს გაუძღვნენ. ალბათ გადაცემის მომხრეები ფიქრობენ, რომ საზოგადო საავადმყოფოებში მომუშავე სამხედრო ექიმებს შესცვლიან სამოქალაქო ექიმები! რომ ისინი იმსახურებენ იმათ მაგიერ ჯარში. არ ვიცი, რამდენად განხორციელებელი იქნება ასეთი ფიქრი. მოგვეჩვენება ეს ადვილად და მიზანშეწონილი იქნება ეს იმ თავისებურობასთან, რომელიც სამხედრო უწყებას თანა სდევს ყოველთვის. მე მგონია, რომ ეს ვერ მოხერხდება და მხოლოდ გაუგებრობას ექნება ადგილი ამ შემთხვევაში.

8) ფერშლების და სანიტრების საკითხი.

როგორც უნდა მოაწყოს ფერშლების და სანიტრების მომზადება სამოქალაქო უწყებამ, ის მაინც უზრუნველ ვერ ჰყოფს სამხედრო უწყებას ვერც მშვიდობიანობის და მით უმეტეს ომიანობის დროს ფერშალთა და სანიტართა საჭირო და გამოსადეგი შემადგენლობით.

სამხედრო უწყებას დასჭირდება საგანგებოდ მომზადებული სამხედრო ფერშლები და სანიტრები. საავადმყოფოები, სადაც ისინი მიიღებდნენ ასეთ მომზადებას, სამხედრო უწყებას ეცლება. მაშ იგულისხმება თავის თავად, რომ ეს პერსონალი მიიღებს სამხედრო-საფერშლო მომზადებას სამოქალაქო საავადმყოფოებში და ამ გვარად სამოქალაქო უწყება უზრუნველ ჰყოფს სამხედრო უწყებას ამ მხრივაც საჭიროებისამებრ როგორც მშვიდობიანობის, ისე ომიანობის დროსაც მერმე, განა ასეთი ექსპერიმენტები დასაშვებია ომიანობის დროს, რომ სულ, თუ გნებავთ, უცხო ხალხი, რომელთაც ჯერ სამხედრო სუნიც არ უგრძვნიათ ერთბაშად მიაწყდეს ომში სულ უცნობ ატმოსფერას.

მართალია აქამდისინაც ხდებოდა და ასეც იქნება, რომ მობილიზაციის წესით მოწვეულნი ფერშლები ჯარში მიემგზავრებიან, მაგრამ უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ მათთან ერთად მსახურობდნენ უკვე გამოცდილი სამხედრო ფერშლები. ასევე უნდა ითქვას სანიტრებზედაც. მგონია, რომ ეს საკითხიც გაუგებრობას დაბადავს.

9) სამხედრო ავადმყოფები

ნუ დაგვავიწყდება, რომ ჯარის კაცი, სადაც კი უნდა იყვეს ის, ველად თუ სახლში, ყაზარმაში, თუ საავადმყოფოში უნდა დარჩეს ყოველ შემთხვევაში ჯარის კაცად. ის უნდა ემორჩილებოდეს ყოველგან იმ დებულებას, რომელიც სამსახურმა მას არგუნა. არ შეუძლიან იმას დროებით მიივიწყოს, გაინთავისუფლოს თავი ჯარში შექმნილ მოთხოვნილებებისაგან. მისი სამხედრო თვისება არ უნდა მოდუნდეს არავითარი ზეგავლენით, თუ გვინდა მართლა ღირსეული გაწვრთნილი ლაშქრის ყოლა და არა შემთხვევითი საბედისწეროდ—შეყრილი ბრბოსი.

„დისციპლინას“ პირველი ადგილი ეჭირება ყოველთვის ღირსეული ჯარის შექმნაში; უამისოდ კი საქმე გვექნება უბრალო ბრბოსთან, როდესაც აქ „დისციპლინას“ ვიხსენიებთ, ნურავის ეგონება, რომ ჩვენ ძველი რეჟიმის „დისციპლინის“ მომხრენი ვიყვნეთ, როდესაც მხოლოდ „გარეგნულ, მექანიკურს, მხარეს ჰქონდა მხოლოდ ადგილი ჯარის გაწვრთნაში. ჩვენ ვგულისხმობთ ზნეობრივ და გონებრივ ნიადაგზე აგებულ „დისციპლინა“, რომელიც ძვალსა და რბილში უნდა ჰქონდეს გამჯდარი თვითეულ მეომარს.

ამ გვარი „დისციპლინის“ შესათვისებლად საჭიროა განსაკუთრებული აღზრდა და მომზადება მეომრისა, რაც უნდა ევალებოდეს სამხედრო უფროსთა შემადგენლობას.

ნურავინ იფიქრებს იმას, რომ სულ ერთია, თუ კაცი შეგნებულია, იმავე დროს ის კარგი მეომარიც არის.

ნურც იმას ვფიქრებთ, რომ ახლო მომავალში ცის მანანასავით ერთბაშად ჩვენ წინ წამოსდგება ერთნაირად შეგნებული და ზნეობით ამაღლებული ხალხი. როცა ეს მოხდება, მაშინ ხომ აღარ იქმნება საჭირო ჯარიც. და რადგანაც ჯერ-ჯერობით ეს არ მომხდარა და ახლო მომავალშიაც არა მგონია ეგრე ჩქარა მოხდეს, საჭიროა ჯარის აღზრდა, მის ძვალ-რბილში „დისციპლინის“ ჩანერგვა და ყოველივე ის, რაც კი ხელს შეუწყობს მეომრის „დისციპლინის“ მოდუნებას, უნდა ვერიდოთ.

მე მგონი, ამ მოსაზრებით, ისიც კი მოუხერხებელია, რომ ჯარის კაცნი საზოგადო საავადმყოფოებში დიდის ხნობით რჩებოდნენ, რადგანაც მოქალაქი ავადმყოფთა ცხოვრება არ შეეგუება ჯარის კაცის ცხოვრებას და მათის ცხოვრების პირობათა ზეგავლენით შეუმჩნევლად დაჰკარგავს მხედრულ ელფერს, დაივიწყებს იმას, რაც სამსახურისთვის უსაჭიროესია. იქნება ასეთი განსაკუთრებული მოთხოვნილებები ჯარის კაცისადმი აუტანელია, მაგრამ თვითონ ჯარის არსებობა არა ნორმალურია და ჯარის კაციც არა ჩვეულებრივ პირობებშია ჩაყენებული; ეს არის ერთი აუცილებლობა, რომელსაც ვერც ერთი მხედარი გვერდს ვერ აუხვევს და ძალაუნებურად ამას უნდა შეურიგდეს.

ზემოთმოყვანილი მოსაზრებათა თანახმად ჯარის კაცთა და მოქალაქეთა საავადმყოფოებში ერთი-ერთმანეთში გათქვეფა არ უნდა ჩაითვალოს სასურველად, რადგანაც იქ ვერც ჯარის კაცთათვის და ვერც მოქალაქეთათვის ვერ შევქმნით შესაფერ პირობებს.

გარდა მის ჯანმრთელობაზე ზრუნვისა ჯარის კაცისათვის კიდევ სხვა რაიმეა საჭირო საავადმყოფოში. საჭიროა რომ ის, მორჩების შემდეგ, დაბრუნდეს ჯარში მხედრული ელფერით.

სამოქალაქო საავადმყოფო კი, ძლიერაც რომ ეცადოს, ამას ვერ მოახერხებს, ვერ შესძლებს ამაზე ზრუნვას.

შეიძლება ყველა ზემო ნათქვამში „დისციპლინის“ შესახებ ზოგიერთს ჩვენგანს უმნიშვნელოდ მიაჩნდეს, მე კი ცოტაოდენ მნიშვნელობას ვაძლევ.

სამხედრო უწყება ყოველთვის იცხოვრებს თავისი საკუთარი კანონებით, მე ასე მგონია, თუ კი ჯარი იარსებებს; და როგორც გნებავთ ერთ და იმავე საავადმყოფოში ერთის მხრივ ანხორციელოთ სამოქალაქო, მეორეს მხრივ—სამხედრო პირთათვის—სამხედრო კანონები...

ბევრი, ძლიერ ბევრი შემთხვევა იქნება გაუგებრობისა და არევ-დარევისა.

სამხ. სასანიტარო განყ. უფროსის თანაშემწე ექ. ცხვედაძე.

(დასასრული ხვალ)

იურიდიულ საზოგადოების კრება.

წარსულ კვირას იურიდიულ საზოგადოებაში შესდგა საერთო კრება რომელზედაც სასამართლო პალატის უფროსის თავმჯდომარემ წაუკითხა მოხსენება: „იუსტიციის სამინისტროს რეორგანიზაციის შესახებ“ და წამოყენებული იყო გასარჩევად შემდეგი საკითხები: 1) გამგეობის მოხსენება საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ და მისი პერსპექტივები 2) მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნები მაზრებში და სხვა.

პირველ საკითხის შესახებ ილაპარაკა გ. შალიბაშვილმა და განუცხადა დამსწრე საზოგადოებას რომ ქართველი იურისტები უყურადღებოდ ეპყრობიან ამ ფრიად სამნიშვნელო წრეს და ხელს არ უწყობენ მის ზრდა-განვითარებას თორემ იმ მოკლე ხანში რაც ის არსებობს იგი გაცილებით მეტს გააკეთებდა ვიდრე მან მოასწრო დღემდის, მაგრამ მიუხედავად ასეთ გულ-გრილობისა საბჭომ მაინც შესძლო ამ ხნის განმავლობაში საზოგადოების კანცელარია მოეწყო და ერთი შკაფი სხვა და სხვა იურიდიული წიგნებიც შეუძინა. ამის შემდეგ. ამბობდა შალიბაშვილი, საბჭოს საჭიროდ მიაჩნია საზოგადოებამ გამოსცეს თავისი სპეციალური იურიდიული ორგანო რომლის გარშემო შემოიკრიბებიან ყველა ქართველი მცოდნე იურისტობა ხელს შეუწყობენ ქართულ ენაზე იურიდიული საკითხების შემუშავებას და იურისპრუდენციის ქართულ ენაზედ აღორძინება-განვითარებას; საბჭოს საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე მოეწყოს იურიდიულ საკითხების შესახებ რეფერატების კითხვა რათა ასეთ მოხსენებით ხელი შეუწყოთ ჩვენ ახალგაზრდა იურისტების თეორიტულად შემზადებას.

ამის გარდა საბჭოს სასარგებლოდ სცნო დაარსდეს თბილისში პრაქტიკული იურიდიული კურსები. არა ნაკლებ საჭიროა, ამბობდა შალიბაშვილი რომ საზოგადოებამ თავის პრაქტიკულ სამეცადინოდ მიიღოს გასამართლებების მოწყობა, რადგან ამას შეუძლიან შეაჩვიოს და შეასწავლოს ჩვენს იურისტებს ყოველგვარი გასამართლების ტეხნიკური მხარე და მისცეს ყველა ვალდებულების შესასრულებლად პრაქტიკულის გამოცდილება, აქ შეუძლიანთ მათ პრაქტიკით შეისწავლონ სასამართლოს მსვლელობის პროცესი, მომზადდეს ტეხნიკურად სასამართლოს თავმჯდომარედ პროკურორად ვექილად და სხვა. შემდეგ ლაპარაკობს ბ. კვირკელია:

„ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მივიჩნიეთ საზოგადოებისთვის ორგანოს გამოცემა, მაგრამ ნივთიერ დაქვეითების გამო ამას ჯერ-ჯერობით ვერ ვახერხებთ, ამაზედ მივმართეთ თხოვნით იუსტიციის მინისტრს ბ. მესხიშვილს რათა მას აღეძრა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა რომ მას ჩვენი საზოგადოებისთვის ორგანოს გამოსაცემად რაიმე თანხა გამოეღო და იმ თანხით გამოგვეცა როგორც არაოფიციალური ისე ოფიციალური ნაწილი ორგანოსი სადაც მოვათავსებდით სამინისტროს ყველა გამოცემებს, ჩვენი თხოვნა ბ. მესხიშვილმა თუმცა შეიწყნარა და შეგვპირდა კიდეც სისრულეში მოეყვანა, მაგრამ მას იმ დროს სამინისტროს თავის დანებება მოუხდა და ჩვენი თხოვნაც სამინისტროს კანცელარიაში ჩარჩა. და ჯერ ამაზედ არაფერი პასუხი არ მიგვიღია.

ასევე სასარგებლოდ მიგვაჩნია პრაქტიკული იურიდიული კურსების დაარსება, რის შესახებ კიდეც მოველაპარაკეთ ჩვენ ქართულ უნივერსიტეტის რექტორს, მელიქიშვილს, და უკანასკნელიც შეგვპირდა ამის შესახებ უნივერსიტეტის საბჭოსთან მოლაპარაკება გამართოს და მათი აზრი შეგვატყობინოს, თითონ მელიქიშვილი კი, ამბობდა კვირკელია, თანახმაა ასეთ კურსების დაარსებისა

კრებამ, დაადასტურა რა საბჭოს მოხსენება—და სცნო რა აუცილებელ საჭიროდ ორგანოს გამოცემა და რეფერატების მოწყობა, გადასწყვიტა ხელ მეორედ აღძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა რათა მან ორგანოს გამოსაცემად რაიმე თანხა გადმოსცეს ჩვენს საზოგადოებას.

ამას შემდეგ გაიმართა კამათი გასამართლებების მოწყობის საკითხის შესახებ, მაგრამ ხმის უმრავლესობით ეს საკითხიც მიღებულ იქმნა.

სასამართლო პალატის უფროსს თავმჯდომარემ მ. მღვდლიაშვილმა გააკეთა მოხსენება იუსტიციის სამინისტროს რეორგანიზაციის შესახებ, და დამსწრე საზოგადოებას გააცნო ამის შესახებ წამოყენებული ორი პროექტი ერთი პროექტი, ამბობს მომხსენებელი მღვდლიაშვილი, სასამართლო უწყებას სავსებით უსპობს თავის წარმომადგენელს მთავრობის წრეში და მის მაგივრად ნიშნავს გენერალ-პროკურორს, რომელიც რაღაც მანქანად არის გადაქცეული და თავის ნება და სურვილი წართმეული აქვს, იგი ერთგვარი პიფიაა—სასამართლო უწყების და მთავრობის შორის რაღაც შუამავალი კაცია მან უნდა სასამართლოს შესახებ მოხსენებები წარუდგინოს მთავრობას. მაგრამ თავისი აზრი რომ იქონიოს ეს არ შეუძლიან, ის მთავრობის წრეში შედის არა როგორც მათი თანასწორი წევრი გადამწყვეტი ხმის, არამედ რაღაც მოამბედ, როგორც ეტყობა, ამბობდა მღვდლიაშვილი, თვით პროექტის ავტორმაც არ იცის რა უნდა აკეთოს მან მთავრობის წრეში და რის წარმომადგენელია.— მთელი იმის ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ ამბავი უზიდოს იქ მთავრობას და აქ სასამართლო უწყებას.

სულ სხვაა მეორე პროექტით შედგენილი სამინისტრო, ამის წინადადებით სასამართლო უწყება სრულიად დამოუკიდებელ ორგანოდ რჩება, მას თავის წარმომადგენელი ჰყავს, მინისტრის სახით, ეს არის თანასწორი წევრი მთავრობის შემადგენლობისა და დამცველი თავის სამინისტროს ინტერესებისა და სასამართლო უწყების კანტროლიორი და ხელმძღვანელი მინისტრის გარდა ამ პროექტით, ამბობს მღვდლიაშვილი, სასამართლოს სვე ბედი აბარია სენატს, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს როგორც სასამართლოს კანონიერ ნიადაგზე დაყენებას, ისე თვით მინისტრის მოქმედებას; სენატს უფლება აქვს, ამ პროექტით, არ მიიღოს მის მიერ გამოცემული ცირკულიარ-განკარგულებები თუ იგი კანონს ეწინააღმდეგება.

აი სწორედ, დაამბოლოვა მ. მღვდლიაშვილმა, მხოლოდ ასეთ პრინციპებზე აშენებული სამინისტრო შეეფერება ჩვენ დემოკრატიულ დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფოს.

მოხსენების შემდეგ ორ წამოყენებულ პროექტების შესახებ გაიმართა კამათი და კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: რადგან პირველი პროექტით შედგენილი იუსტიციის სამინისტრო კანონ-მდებლობის და აღმასრულებლის უფლებებს ერთმანეთში აურევს, სასამართლო ძირს გამოუთხრის და სახელმწიფო უფლების მდგომარეობას დაარღვევს ამიტომ იურიდიული საზოგადოება მხარს უჭერს მეორე პროექტს და გამოსთქვამს სურვილს რომ იუსტიციის სამინისტრო დარჩეს თანახმად ამ პროექტის შინაარსისა და იგი იყვეს სახელმწიფოს დამოუკიდებელი ორგანო.

იურიდიულ საზოგადოების საბჭოს მდივანი გ. შალიბაშვილი.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მიგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის-ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სოლენოიდი და სხვა. ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9-1 საათამდე და საღამოს 5--8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4-17-92.

სამკურნალო კაბინეთი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძის
[illegible]
იღებს კანის, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

სამხედრო სამინისტროს სტამბა, დოროს-მელიქოვის ქუჩა № 3.